FROM THE HISTORY OF NIKHOZI[1]

ნიქოზის ისტორიიდან

GIORGI SOSIASHVILI
Doctor of History, Professor of Gori State University
ORCID:0000-0002-2406-8662
giorgisosiashvili@gmail.com
+995577240088

IOSEB ALIMBARASHVILI
Doctor of History, Associate Professor of Gori State University
ORCID: 0000-0002-0347-1815
sosoalimbarashvili@gmail.com
+995577151219

Abstract

The article examines the political and socio-economic history of the two villages Kvemo and Zemo Nikozi near the occupation line in Shida Kartli, in particular, population dynamics, ethnic and religious composition, village antiquities, fortifications, material and spiritual monuments, lapidary inscriptions and epitaphs. Nikozi's relationship with the Monastery of the Cross in Jerusalem.

Nikozi is one of the oldest villages in Georgia. The temple of the deity was built here by Vakhtang Gorgasali as early as the 5th century and also established an episcopate. Razhden the First Martyr was buried here. There is a legend that in the temple of the deity of Nikozi there lies a cross of the righteous (length 4 inches), which was sent as a gift to Vakhtang Gorgasali by the Patriarch of Jerusalem. The cross-bearing box also had an inscription stating that it had been brought from Jerusalem. According to the inscription, chasse was rebuilt King Tamar's daughter Rusudan (made a silver nest for the cross). According to the same legend, the cross was kept in the temple until 1791 and was lost in 1799 during the reign of Atanase Nikozeli. For this, Atanase of Nikozi was removed by Giorgi XII from the Nicozi church and exiled him to the Udabno (Monastery). After the death of Giorgi XII, David Batonishvili restored Atanase as Bishop of Nikozi.

The Diocese of Nikozi had a very close relationship with the Monastery of the Cross in Jerusalem. According to documentary sources, the Bishops of Nicosia also presided over the Monastery of the Cross. During the second half of the XV century, the relationship of the Diocese of Nikozi with the Monastery of the Cross in Jerusalem became even more active after the appointment of Bishop Daniel of Nikozi as "Jvaris Mama" (Father of the Cross). "Agapi" (funeral repast) was established in the Jvari Monastery in the name of Daniel Nikozeli.

[1] სტატია მომზადდა გსსუ შიდა პროექტის „საოკუპაციო ხაზთან არსებული სოფლების ლაპიდარული წარწერები“ დარგლებში (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძ. #5-05;05.02.2021).

In the first half of the 18th century, the father of the Monastery of the Cross was still the Bishop of Nikozi. David Nikozeli headed the Monastery of the Cross in 1761-1773. He was a famous person of his time and is mentioned in many documents.

The merit of the Pavlenishvilis' towards the Church of the Deity of Nikozi is very important. The representatives of the mentioned family settled in Nikozi in the form of Tmogvel-Ujarmel-Pavlenishvili from the 16th century and called the temple of the deity their inheritance and tomb. In the second half of the 16th century, the Pavlenishvili family living in Nikozi had two important ecclesiastical figures: Epiphanius and Barnabas Pavlenishvili, who for some time headed the Holy Cross Monastery in Jerusalem. The relationship of the Diocese of Nicosia with the Monastery of the Cross in Jerusalem became even more active in the following centuries.

In the second half of the 18th century, the father of the Monastery of the Cross was again Bishop David of Nikozi, who was very active.

Nikozi was the native village of the Catholicos-Patriarch of Georgia Kirion II Sadzaglishvili. Thus, his wife and young son are buried in St. Giorgi's Church, after which he was ordained a monk and began a religious life. Kirion cared a lot for the fate of his native village; in 1887 he was one of the initiators of the restoration of the temple of the deity, which is also indicated by the inscription made on the north wall of the temple.

Keywords: Antiquities of Zemo and Kvemo Nikozi, lapidary inscriptions, epitaphs, population, Pavelishvilis', Daniel Nikozeli, Father of the Cross (Jvaris Mama), relationship with the Jerusalem Monastery of the Cross.

გიორგი სოსიაშვილი,
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი,
ORCID:0000-0002-2406-8662
giorgisosiashvili@gmail.com
+995577240088

იოსებ ალიმბარაშვილი,
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ORCID: 0000-0002-0347-1815
sosoalimbarashvili@gmail.com
+995577151219

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილია შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს არსებული ორი სოფლის ქვემო და ზემო ნიქოზის პოლიტიკური, და სოციალ-ეკონომიკური ისტორია, მოსახლეობის დინამიკა, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა, სოფლის სიძველეები, საფორტიფიკაციო ნაგებობები,

მატერიალური და სულიერი ძეგლები, ლაპიდარული წარწერები და ეპიტაფიები. ნიქოზის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან.

ნიქოზი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სოფელია. აქ ღვთაების ტაძარი ააგო ვახტანგ გორგასალმა ჯერ კიდევ V საუკუნეში და საეპისკოპოსო დაარსა. აქვე დაკრძალეს რაჟდენ პირველმოწამე. არსებობს გადმოცემა, რომ ნიქოზის ღვთაების ტაძარში დაბრძანებული იყო ცხოველმყოფელი ხის, ანუ ძელიჭეშმარიტის ჯვარი (სიგრძით 4 გოჯი), რომელიც, ვახტანგ გორგასალს ძღვნად იერუსალიმის პარტიარქმა გამოუგზავნა. ჯვრის შესანახ ყუთს წარწერაც ჰქონია, რომლის თანახმადაც იგი იერუსალიმიდან იყო ჩამოტანილი. წარწერის მიხედვით, ლუსკუმა თამარ მეფის ასულს რუსუდანს განუახლებია (ჯვრისათვის ვერცხლის ბუდე გაუკეთებია). ამავე გადმოცემის მიხედვით, ჯვარი ტაძარში 1791 წლამდე ინახებოდა და 1799 წელ სათანასე ნიქოზელის დროს დაკარგულა. ამისათვის ათანასე ნიქოზელი გიორგი XII-ს ნიქოზის კათედრისათვის მოუშორებია და ნათლისმცემლის უდაბნოში (მონასტერში) გადაუსახლებია. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ დავით ბატონიშვილს ათანასე ისევ ნიქოზის ეპისკოპოსად აღუდგენია.

ნიქოზის ეპარქიას ძალზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ნიქოზელი ეპისკოპოსები ჯვრის მონასტერსაც ხელმძღვანელობდნენ. XV ს. მეორე ნახევარში იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა კიდევ უფრო გააქტიურდა, ჯვრის მამად ნიქოზელი ეპისკოპოსის დანიელის დანიშვნის შემდეგ. დანიელ ნიქოზელის სახელზე ჯვრის მონასტერში აღაპი იყო დაწესებული.

XVIII საუკუნის I ნახევარში ჯვრის მონასტრის მამა კვლავ ნიქოზელი ეპისკოპოსი იყო. დავით ნიქოზელი ჯვრის მონასტერს 1761-1773 წლებში ედგა სათავეში. იგი თავის დროის ცნობილი პიროვნება იყო და არაერთ დოკუმენტში იხსენიება.

ძალზე დიდია ფავლენიშვილების დამსახურებას ნიქოზის ღვთაების ტაძრის მიმართ. აღნიშნული გვარის წარმომადგენლები თმოგველ-უჯარმელ-ფავლენიშვილების სახით ნიქოზში XVI საუკუნიდან დამკვიდრდნენ და ღვთაების ტაძარს თავიანთ სამკვიდრებელს და სამარხს უწოდებდნენ. XVI საუკუნის II ნახევარში ნიქოზში მცხოვრებ ფავლენიშვილთა საგვარეულოს ორი მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე ჰყავდა: ეპიფანე და ბარნაბა ფავლენიშვილები, რომლებიც, გარკვეული დროის განმავლობაში, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს ხელმძღვანელობდნენ. ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო გააქტიურდა.

XVIII საუკუნის II ნახევარში ჯვრის მონასტრის მამა კვლავ ნიქოზელი ეპისკოპოსი დავითი იყო, რომელიც ძალზე აქტიურ საქმიანობას ეწეოდა.

ნიქოზი იყო მშობლიური სოფელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II საძაგლიშვილისა. სწორედ ქვ. ნიქოზის წმ. გიორგის ეკლესიაში არიან დაკრძალულნი მისი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, რის შემდეგ იგი ბერად აღიკვეცა და სასულიერო ცხოვრება დაიწყო. კირიონი ბევრს ზრუნავდა მშობლიური სოფლის სვე-ბედზე, 1887 წელს იგი ყოფილა ერთ-ერთი

ინიციატორი ღვთაების ტაძრის აღდგენისა, რასაც ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გაკეთებული წარწერაც გვაუწყებს.

საძიებო სიტყვები: ზემო და ქვემო ნიქოზის სიძველეები, ლაპიდარული წარწერები, ეპიტაფიები, მოსახლეობა, ფავლენიშვილები, დანიელ ნიქოზელი, ჯვარისმამები, ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან.

შესავალი

ნიქოზის მდებარეობა და უძველესი დასახლება. სოფ. ნიქოზი ისტორიულ შიდა ქართლში, ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით 3 კილომეტრზე, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სოფელი იყოფა ზემო და ქვემო ნიქოზად. აღსანიშნავია, რომ ქვემო ნიქოზში, ერთ-ერთი ადგილობრივი მაცხოვრებლის ბადრი დევიძის საკარმიდამო ნაკვეთში 2020 წელს გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არტეფაქტები და ლითონსადნობი ქურები აღმოჩნდა, რაც აღნიშნულ არეალში დასახლების უძველესი დროიდან არსებობას ადასტურებს. სავარაუდოდ, უძველეს დროში მდ. დიდი ლიახვი ქვემო ნიქოზთან უფრო ახლოს მოედინებოდა და მოსახლეობა მდინარის პირა ტერასებზე ცხოვრობდა.

მეთოდები

კვლევა, ძირითადად, ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები

სოფელ ზემო და ქვემო ნიქოზის ლაპიდარული წარწერები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა შიდა ქართლში, კერძოდ, მდ. დიდი ლიახვის შუაწელზე არსებული უძველესი ქართული სოფლების, იქ მდებარე მატერიალური კულტურის ძეგლების, საქართველოს ამ უძველესი კუთხის ეთნიკური, რელიგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დიდი ლიახვის ხეობაში არსებული არაერთი ქართული სოფელი მავთულხლართს მიღმა აღმოჩნდა. რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაიკავეს ტერიტორია, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა, თუმცა მიწის მითვისება ამით არ დასრულებულა, ე. წ. მცოცავი ოკუპაცია დღემდე საფრთხეს უქმნის მიტაცებულ ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ ისტორიულ სოფლებს, სადაც ერთ დროს წინაპართა ხელით იგებოდა ტაძრები და ციხე-სიმაგრეები, იკვეთებოდა წარწერები, რაც ჩვენი მდიდარი წარსულის უტყუარი დადასტურებაა.

დისკუსია

ნიქოზის მოსახლეობა. ზემო და ქვემო ნიქოზში უძველესი დროიდან ქართველები ცხოვრობდნენ, ზემო ნიქოზის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის „1728

წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი.“ ოსმალური დოკუმენტის მიხედვით, ზემო ნიქოზში აღრიცხულია გადასახადების გადამხდელი 8 პირი, მათი სახელების და მამის სახელებით თუ ვიმსჯელებთ, ოსმალებისგან დაბეგრილი ნიქოზელები ქართველები იყვნენ; ,,თამაზა ძე ჯათუნასი (დათუნა?) და მისი ძმები: ჯათუნა, დიმიტრი და თამაზა, ბერი ძე ლაზარასი და ჯათუნა ძმა მისი და სხვ. მიწის დღიური მფლობელობა მითითებულია 50 [ჯიქია, შენგელია, 2009:341-342]. ამავე დოკუმენტის მიხედვით, შედარებით მეტი მაცხოვრებელი იყო ქვემო ნიქოზში, სადაც გადასახადს 31 მკვიდრი იხდიდა. მათ შორის იყვნენ: იოთამ ძე შერმაზანისა და მისი ძე ქაიხოსრო, ჯათუნა დიმიტრის ძე და მისი ვაჟები: დიმიტრი და ჩუბინა, ჯათუნას ძმა შიო და მისი ვაჟი ბერი, ივანე ძე თამაზასი, თედორე ძე საბასი, ბერი ძე დათუნასი და ა. შ. ქვემო ნიქოზში 50 დღიური მიწა იყო აღიცხული [ჯიქია, შენგელია, 2009:347-348]. ზემო და ქვემო ნიქოზის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს „მორიგე ჯარის“ დავთარი.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის ერეკლე II-ის დავალებით ზემო ნიქოზიდან ,,მორიგე ჯარში“ უნდა გამოსულიყვნენ: ,,ნიქოზელის ყმა გვარაძე გოგია, ამისივ ყმა პაატას სახლის კაცი მთავარი ზებედე. დავით სარდალ სახლთუხუცესის ყმა თევდორე მღვდლისშვილი გოდერძი და პეტრე ავალისშვილის ყმა ედილაშვილი აღდგომელა“, ხოლო ქვემო ნიქოზიდან: ,,საბატონიშვილო ნამორაძე გიორგიუ ბეჟიას ბიძაშვილი, ნაცვლიშვილი ზაალის ყმა ჩიტიაშვილი ივანე, დემეტრე ციციშვილის ყმა ბენიაშვილი გოგია, ამისივ ყმა პაპუნა, იესე ფავლენიშვილის ყმა ციმაკურიძე ნინია და ზაზა ამირაჯიბის ყმა ულუმბელი დავით მღვრდელი“ [ლორთქიფანიძე, 1947:344]. მორიგე დავთრის ცნობას ზემო და ქვემო ნიქოზის მოსახლეობის შესახებ კიდევ უფრო ავსებს ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების 1781 წლის აღწერის დავთარი. დოკუმენტის მიხედვით ზემო ნიქოზში აღრიცხულნი არიან ,,ნიქოზელის ყმები: ბერი კობერაული (1 კომლი 1 თავი), ნასყიდა გვარაძე (შეუძლებელი, 1 კომლი), ივანე მჭედლიძე (1 კომლი, 1 თავი), ბერი კვიწინაძე (1 კომლი, 1 თავი), ივანე ანიაშვილი (1 კომლი, 1 თავი), ნიქოზელის ნასყიდი ყმა პაატა ლომსაძე (1 კომლი, 1 თავი). დავით ფავლენიშვილის ყმები: ფირან და ბერი გვრიტიშვილები, იასე ფავლენიშვილის ყმები: ბოგანო მეზვრე ტეტია ებალაშვილი და ძმები: ბერი და გოგია ზაქარაშვილები, შალიკაშვილის ყმა - ხიზანი ბერი მახარობლიძე.

ამავე დავთრის მიხედვით ქვემო ნიქოზში აღრიცხულნი არიან: ოთარ მინბაშის საუფლისწულო ყმები: ტეტია, ბერი და თევდორე ყამაზაშვილები. თავის მხრივ, ყმები ჰყავთ ყამაზაშვილებსაც: ბერი და გოგია სომხიშვილები, ერასტი ამილახვრიშვილის ყმაა - შიო გახელაძე, გივი ამილახვრის ყმა - ივანე რაჯაბაშვილი. ყველაზე მეტი ყმა ქვემო ნიქოზში ჰყავს ფავლენიშვილებს. იესე ფავლენიშვილის მფლობელობაში არიან: აზნაურიშვილი ერასტი ნამორაძე და მისი ძმები: ზაზა და ზურაბი, ივანე სახვაძე, გოგია ჩუხრუკიძე, ფარსადან წვიმეტაძე (შეუძლებელი). იოანე თაქთაქიშვილის ყმები არიან: ბერი და ივანე მეტრეველები, ბერი ფავლენიშვილის - ზაზა ახალკაცი, ბერი და გოგია ტეტიაშვილები.

ქვემო ნიქოზში ყმები ჰყავდა ეკლესიასაც. ეკლესიის საკუთრებაში მყოფ გლეხთა შორის იხსენიება მღვიმის (შიო მღვიმის?) ყმები: ხიზანი სეხნია, მამუკა და ბერი საძაგლიშვილები, ქვემო ნიქოზში ყმა-გლეხები ჰყავდა წმინდა ევსტატის ეკლესიასაც(თუმცა სად მდებარეობდა წმინდა ევსტატის ტაძარი მითითებული არ არის) ,,ქ. აქავ წმინდის ევსტატის ყმა ლომსაძე გიორგი, კომლი ა, თავი ა.“ [თაბუაშვილი, 2013:53-24] და სხვ.

1804 წლის აღწერით ზემო ნიქოზში 27 კომლი ცხოვრობდა (88 მამაკაცი, 57 ქალი), ხოლო ქვემო ნიქოზში 29 კომლი (91 მამაკაცი, 61 ქალი [ალიმბარაშვილი, 2021:91-92]. 1818 წელს რუსულ კამერალურ აღწერაში ზემო ნიქოზში აღრიცხულია 92 მამაკაცი და 58 ქალი (სულ 150 სული), ხოლო ქვემო ნიქოზში 64 მამაკაცი და 35 ქალი (სულ 99 სული). მითითებული აღწერის ჩატარების დროისთვის ზემო ნიქოზში შემდეგი მაცხოვრებლები არიან დაფიქსირებულნი: ზაქარია და დავით ბოჭორიძეები, ნინია დათუნაშვილი, ბეცია ივანიძე, სოსია, გლახა და პეტრე ლონგურაშვილები, მოსე შერაზადიშვილი, ივანე და ტეტია ლაზარაშვილები, გაბრიელ და ივანე მაისურაძეები და ა. შ. ხოლო ქვემო ნიქოზში: ტეტია, ივანე, სოსია, ნინია, სოლომონ მჭედლიძეები, ნინია, გოგია და გიორგი ესიაშვილები, ოთარ ტაბუცაძე, თევდორე და ბერუა ზაქარაშვილები და სხვ. [ალიმბარაშვილი, 2021:458-463].

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, ზემო და ქვემო ნიქოზში მოსახლეობა მკვეთრად გაზრდილი ჩანს. ზემო ნიქოზში ცხოვრობდა 85 კომლი (514 სული, აქედან 257 მამაკაცი, 257 ქალი), ხოლო ქვემო ნიქოზში 97 კომლი (433 სული, აქედან 229 მამაკაცი, 204 ქალი) ყველა ეროვნებით ქართველი და მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. მათი დიდი უმრავლესობა ეკლესიას ეკუთვნოდა (ზემო ნიქოზში 79 კომლი, ქვემო ნიქოზში - 53 კომლი) [Свод, 1893, №1396; 1397].

ცხოველმყოფელი ჯვარი-ქრისტიანთა გამორჩეული სიწმინდე და ნიქოზის ეპარქია. არსებობს გადმოცემა, რომ ნიქოზის ღვთაების ტაძარში დაბრძანებული იყო ცხოველმყოფელი ხის, ანუ ძელიჭეშმარიტის ჯვარი (სიგრძით 4 გოჯი), რომელიც, ვახტანგ გორგასალს ძღვნად იერუსალიმის პარტიარქმა გამოუგზავნა. ჯვრის შესანახ ყუთს წარწერაც ჰქონია, რომლის თანახმადაც იგი იერუსალიმიდან იყო ჩამოტანილი. წარწერის მიხედვით, ლუსკუმა თამარ მეფის ასულს რუსუდანს განუახლებია (ჯვრისათვის ვერცხლის ბუდე გაუკეთებია). ამავე გადმოცემის მიხედვით, ჯვარი ტაძარში 1791 წლამდე ინახებოდა და 1799 წელ სათანასე ნიქოზელის დროს დაკარგულა. ამისათვის ათანასე ნიქოზელი გიორგი XII-ს ნიქოზის კათედრისათვის მოუშორებია და ნათლისმცემლის უდაბნოში (მონასტერში) გადაუსახლებია. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ დავით ბატონიშვილს ათანასე ისევ ნიქოზის ეპისკოპოსად აღუდგენია. ათანასე ნიქოზელი გარდაცვლილა 1810 წელს [მეგრელიძე, 1984:145].

თუ ზემოთ წარმოდგენილ ცნობას დავეყრდნობით, ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობას იერუსალიმის წმინდა მიწასთან საეპისკოპოსოს დაარსებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. იერუსალიმის პატრიარქისაგან ნაჩუქარი ძელიცხოველის ნაწილი ვახტანგ გორგასალმა ნიქოზის ტაძარში დააბრძანა, რომელიც ათანასე ნიქოზელს მოღვაწეობის დროს დაიკარგა. როგორც ითქვა, გიორგი XII-ს სწორედ ამის გამო გაუძევებია ათანასე ნიქოზიდან [სოსიაშვილი, 2010-2013::247]. 1798 წლით დათარიღებული ერთი საბუთით ,,არზა ნიქოზლის გამოსაღების თაობაზე გიორგი XII- ის ოქმით“ ირკვევა, რომ ათანასე ნიქოზელი ერეკლე II-ის დროს უკურთხებიათ ნიქოზის ეპისკოპოსად. საბუთში ათანასე წერს, რომ ,,ათი წელისწადი არის ამ ეკლესიაში ნეტარხსენებულმა ბატონმა (ერეკლე II-მ - გ. ს.) დამაყენაო“ [დოლიძე (VIII), 1985:450]. ამ დროისათვის ნიქოზელის სამწყსოში შედიოდა ოთხი სოფელი და ხუთი კომლი ყმა [დოლიძე (VIII), 1985:460].

გიორგი XII-ის მიერ ათანასე ეპისკოპოსის ნიქოზიდან გაძევება შემთხვევითი არ იყო. ერეკლეს მემკვიდრე ქრისტეს საფლავის ყმებისა და მამულის მეურვედ ითვლებოდა, რაც დასტურდება 1793

წელს გაცემულიარზით-„სვიმონა ფეიქრისა ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით“. ქრისტეს საფლავის ყმა სვიმონა ფეიქარი, გიორგი ერეკლეს ძეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: ,,რადგან ქრისტეს საფლავის საყმოთ მეურვე თქვენა ბრძანდებით, ამისათვის გევედრებით თქვენად სადღეგრძელოთ, ერთი ასეთი ოქმი მეგზომოს, რომ ჩემი გათვისება სხამ არა კაცმა არ მოინდომოს, და ჩემის შეძლებითამებრ ქრისტეს საფლავს ვმასხურებდე საუკუნოდ და თქვენის შვილების მლოცავი ვიმყოფებოდე“ [დოლიძე (VIII), 1985:187].

დოკუმენტებიდან არ ჩანს, ათანასე ნიქოზელის მოღვაწეობის დროს გააჩნდა თუ არა იერუსალიმის ქართულ სავანეებს თავისი მამული ნიქოზში.XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ნიქოზის ეპარქია ძალზე ღარიბი იყო. ნიქოზის ტაძრის მამულები ადგილობრივმა წარჩინებულებმა დაისაკუთრეს.

იერუსალიმის წმინდა სავანეების მამულები ნიქოზში ნიქოზის ტაძრის ახლო ურთიერთობას იერუსალიმთან, კერძოდ, ჯვრის მონასტერთან არაერთი წყარო ადასტურებს. ამ მხრივ, ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს წარწერა, რომელშიც გალატოზნი: მემარნიშვილი მახარებელი, ჯვარის კაცი და გიორგი გვრიტიშვილი იხსენიებიან. (იხ: ნიქოზის სამრეკლოს წარწერები).

ჩნდება კითხვა, რატომ იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კაცი ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს წარწერაში? ჩვენიაზრით, ის უნდა ყოფილიყო ნიქოზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჯვრის მონასტრის მამულების მეთვალყურე და არც ის არის გამორიცხული, რომ მას ნიქოზის ტაძრის სამრეკლო საშენებაში,რაიმე წვლილი შეეტანა [სოსიაშვილი, 2010-2013:248].

ხომ არ იყო ჯვარისკაცი ჯვარისმამის წარმომადგენელი ნიქოზში? მით უფრო იმ დროს, როცა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამა ნიქოზელი ეპისკოპოსი დანიელი იყო. რომელიც, XV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა.XVIII ს. დამდეგს ვახტანგ ბატონიშვილი ამტკიცებს ნიქოზში ერთი ზვრისა და ერთი მეზვრის შეწირულობას. ეს მამული ადრე ჯვრის მონასტრისათვის ვინმე დიასამიძეს შეუწირავს. საბუთში ნათქვამია: ,,როგორც შეწირული ყოფილიყოს, ისრევ ჯვარის მონასტრისათვის, ჯვარის მამას ეჭიროს ბატონის მამის ჩვენის მობრძანებამდი. იმის მერე როგორც სჯობს, ისე ყოს“ [ხუციშვილი, 2006:41]. საბუთი გაცემულია 1703-1709 წლებს შორის, ვახტანგის ჯანიშინობის დროიდან გიორგი XI-ის სიკვდილამდე [ხუციშვილი, 2006:41].

როგორც ჩანს, დიასამიძეები ზრუნვას იჩენდნენ წმ. მიწაზე არსებული ქართული მონასტრების მიმართ, რაც დასტურდება დოკუმენტური მასალითაც. ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპში მოხსენიებულია ვარამ დიასამიძე: ,,[თუესა დეკემბერსა ზ] ამასვე დღე წირვა და აღაპი და ლოცვ(ა)ი დიასამიძისა ვარამისი, ასი მუტყალი ოქრო გამოეგზავნა, შეუნდვენ ღმერთმან“ [მეტრეველი, 1962:103]. საგულისხმოა, რომ მომდევნო აღაპი ვარამ დიასამიძის მეუღლის თამარის სახელზეა [მეტრეველი, 1962:104], რაც დიასამიძეების იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი გაწეული შემწეობის, ზრუნვისა და დამსახურების შესახებ მიუთითებს.

ხელნაწერის სტილური ნიშნებისა და მოხსენიებული ფულადი ერთეულების მიხედვით, ე. მეტრეველი ვარაუდობს, რომ დიასამიძეების აღაპები XV საუკუნეშია შედგენილი [მეტრეველი, 1962:145].

ხომ არ იყო ვარამ დიასამიძე ის პიროვნება, რომლის მიერაც მოხდა ნიქოზის მამულის შეწირვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი? ამას ამყარებს რამდენიმე გარემოება 1. მის სახელზე დაწესებული იყო აღაპი, რაც სწორედ განსაკუთრებული დამსახურებისათვის ხდებოდა. 2. ზემოთ წარმოდგენილი სიგელში ვახტანგ VI-მ დაამტკიცა ჯვრის მონასტრის კუთვნილი მამული ,,როგორც შეწირული ყოფილიყოს“ დიასამიძეებისაგან, ანუ განაახლა, და 3. ვარამ დიასამიძის აღაპთან ერთად, როგორც ე. მეტრეველი მიუთითებს, XVIII ტაბულაში ერთიანდება დანიელ წინამძღვრის აღაპიც, რომელიც ასევე XV საუკუნეშია შედგენილი [სოსიაშვილი, 2010-2013:246]. დიასამიძეებს, რომ განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმის ქართულ სავანეებთან, იქიდანაც ჩანს, რომ მათი საგვარეულოს წარმომადგენელი ანტონი, 1755 წლის დოკუმენტის მიხედვით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარად ჩანს [ხუციშვილი, 2006:103].

ნიქოზის ეპისკოპოსები-ჯვარის მამები(იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის წინამძღვრები). ნიქოზის ეპარქიას ძალზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ნიქოზელი ეპისკოპოსები ჯვრის მონასტერსაც ხელმძღვანელობდნენ. XV ს. მეორე ნახევარში იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა კიდევ უფრო გააქტიურდა, რადგან ჯვრის მამად ნიქოზელი ეპისკოპოსი დანიელი დაინიშნა. დანიელ ნიქოზელის სახელზე ჯვრის მონასტერში აღაპი იყო დაწესებული. აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში ვკითხულობთ: ,,გაუჩინეთ ჩუენ, ჯუარისა მამამან ნიქოზელმან დანიელ და კანდელაკმან და ერთსულობით ძმათა, გოხასძესა ელემპიასაი დიდათა მარხუასა შინა შაბათ-კუირიაკითა პანაშუიდი სხუათა მეპანაშვიდეთა თანა, შეუნდვეს ღმერთმან ამინ“ [მეტრეველი, 1962:77].

როგორც ნიქოზის ღვთაების ტაძრის წარწერაში დანიელ ნიქოზელთან ერთად, გოხასძე ბერიკასა და მისი შვილია მოხსენიებული. ზემოხსენებულ აღაპში ელემპია გოხასძე უკვე გარდაცვალილი ჩანს, მისი დამსახურება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინაშე უდავოა, რადგან დანიელ ნიქოზელმა დიდმარხვის შაბათ-კვირასმისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი დააწესა. ელემპია გოხასძეს ნიქოზის წარწერაში მოხსენიებულ ბერიკა გოხასძესა და მის შვილთან შესაძლოა ნათესაური კავშირი ჰქონდა.

დანიელი ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებშიც იხსენიება: ,,[თთუესა დეკემბერსა იზ] ამასვე დღესა წირვა და აღაპი და დალოცვა საუკუნო წინამძღვარისა დანიელისი, ორასი მუტყალი[2] ოქრო სააღაპედ გამოეგზავნა და ი-სი მუტყალი დედაბერთათვის ვენახისათვის სასყიდლად დედაბერთა ვენახი აღარ იყიდეს და გაუყავით ათი სომი მღრდელთათვის გამოეგზავნა [მღრდელთათჳს] კაცისათვის არ მოგვემია, შეუნდვენ ღმერთმან“ [მეტრეველი, 1962:115].

ნიქოზელი ეპისკოპოსის დანიელის მოსახსენიებელმა წარწერებმა ნიქოზის ღვთაების ტაძრის წარწერებში გამორჩეული ადგილი ჰპოვა (იხ. ქვემოთ).

[2]მუტყალი - სრულწონიანი (მისხლიანი) ოქროსდინარი. მოხსენიებულია XIV ს. II ნახევრის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში. სარგის კაკაბაძის გამოანგარიშებით, ვერცხლის ფულად 34 მისხლის და ოქროდ 3,4 მისხლის ლითონის შემცველი საფასის ექვივალენტია [კაკაბაძე (I), 1925:9].

XVIII საუკუნის I ნახევარში ჯვრის მონასტრის მამა კვლავ ნიქოზელი ეპისკოპოსი იყო. დავით ნიქოზელი ჯვრის მონასტერს 1761-1773 წლებში ედგა სათავეში [ხუციშვილი, 2006:117]. იგი თავის დროის ცნობილი პიროვნება იყო და არაერთ დოკუმენტში იხსენიება. მაგ. 1761 წელს ჯვარის მამა ნიქოზელი ამოწმებს ნასყიდობის წიგნს ხერხეულიძეებსა და არდაშელებს შორის [სოსიაშვილი, 2008:10]. ერთი წლის შემდეგ იგი მოწმის სახით მონაწილეობდა ხერხეულიძეებსა და მირზაშვილებს შორის წარმოშობილ დავაში [ხუციშვილი, 2006:106]. 1763 წელს დავით ნიქოზელს მოუგვარებია გოგიაშვილსა და გონგლიაშვილს შორის წარმოშობილი დავა წისქვილის თაობაზე [ხუციშვილი, 2006:106]. დიდია დავით ნიქოზელის როლი ნიქოზის ღვთაების ეკლესიისადმი მამულების შენარჩუნების საქმეში. 1777 წლს განჩინებიდან ,,ნიქოზის ღმრთაების ეკლესიის მამულის საქმეზე", ჩანს, რომ ნიქოზის ეკლესიის მამულები მიუსაკუთრებიათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომელთაც, ეს ქონება ფავლენიშვილებისა და შალიკაშვილებისგან უყიდიათ. დავით ნიქოზელს არაერთი დოკუმენტი მოუძიებია, საიდანაც ჩანდა, რომ ნიქოზის ტაძარს წართმეული მამულები სხვადასხვა დროს ნაწყალობევი ჰქონდა, როგორც სამეფო ხელისუფლების, ასევე საპატრიარქოსაგან.

დავით ნიქოზელს წმ. ქრისტეფორე პატრიარქის შეჩვენების, წყევლისა და კრულვის წიგნი მოუშველიებია: ,,ვინც ნიქოზის წმინდა ღვთაებას მამული გამოსწიროს, ჩემი ქრისტეს მიერ მოცემულის ძალით წყეული და შეჩვენებული და კრული იყოსო საუკუნოთგან გაუხსნელად". ამავეს ამტკიცებდნენ ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ისა და მარიამ დედოფლის ,,წიგნები": ,,ვინც მოუშალოს პატრიარქის შეჩვენების ქვეშ იყოსო". ამიტომ, სწორედ ამ სახით ჩაიწერა განჩინებაში: ,,ბედნიერის ხელმწიფის ბრძანებით სამართალმა წმინდას ეკლესიას თავისი მამულები ასე დაანებაო" [დოლიძე (V), 1974:40-41].

ნიქოზის საეპისკოპოსოს და ფავლენიშვილებს შორის დავა ნიქოზში არსებულ მამულებზე დავით ნიქოზელის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. ამას ასახვს 1786 წლის განჩინება ,,გიორგი XII-სა ნიქოზელისა და ფავლენიშვილების ყმა-მამულის საქმეზე". დავაში ჩარეულან თვით კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I და ერეკლე II-ის მემკვიდრე უფლისწული გიორგი. კათალიკოს-პატრიარქს ნიქოზში გაუგზავნია სასულიერო პირები: მთავარეპისკოპოსი იოასაფი, თბილელი მიტროპოლიტი კირილე და დიკასტერიის წარმომადგენლები. საბოლოოდ დავა ნიქოზელი ეპისკოპოს იულიოსის სასარგებლოდ გადაწყვეტილა, მაგრამ დოკუმენტიდან ისიც ჩანს, რომ ფავლენიშვილებს ჯვარის მამის დავით ეპისკოპოსის ნიქოზის ეკლესიაში დაკრძალვაზე უარი უთქვამთ, იმ მიზეზით, რომ ეკლესია მათ საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ დავით ნიქოზელი ტაძრის გვერდით ეკვდერში დაუკრძალავთ, სადაც სხვა ეპისკოპოსებიც იყვნენ დასაფლავებულნი.

სამეფო კარმა იულიოს ნიქოზელს დავით ეპისკოპოსის ეკლესიაში გადასვენება დაავალა: ,,ქ. ამასაც ჩიოდა ყოვლად სამღვდელო ნიქოზწელი იულიოს: ჩემს უწინარესად დავით ნიქოზელი დიდად დამაშვრალი იმ ეკლესიაზედ რომ მიიცვალა, თავის ეკლესიაში ადგილი არ დაანებეს, რომ დამარხულიყო. მისს სიმაღლეს მეფეს და მის უწმინდესობას კათალიკოს-პატრიარქს მოვახსენეო. და ბრძანება გვაჩვენა, ორთავ ებრძანათ რისხვით და წყრომით: ფავლენიანნო! რის მიზეზით გიქმნიათ, რომ ეპისკოპოსი თავის ეკლესიაში არ დაგიმარხვინებიათ, იულიოს ნიქოზელო! ამოასვენე და ეკლესიაში მიიღეო და ეგრეთ აღასრულებინა ბრძანებული". დოკუმენტს ხელს აწერენ: მთავარეპისკოპოსი იოასაფი, ტფილელი მიტროპოლიტი გერმანე, არქიეპისკოპოსი რუსთველი

კირილე, მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი, მდივანბეგი ეშიკაღასბაში თეიმურაზ ციციშვილი, ერეკლე II-ის მსაჯული იესე, მდივანბეგი ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი, მოწმე სოლომონ ლიონიძე, ხუცეს-მონაზონი გრიგოლი, დიკასტერიის მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე, დავით გარეჯის არქიმანდრიტი თეოდოსი, მთაწმინდის არქიმანდრიტი იოაკიმე, მეფე ერეკლე II, დარეჯან დედოფალი, ანტონ კათალიკოსი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები [დოლიძე (V), 1974:328-329].

დავით ნიქოზელის შემდეგ, ნიქოზის ეპარქიას სათავეში ჩაუდგა იულიოსი, რომელმაც 1785 წელს საჩივრით მიმართა დიკასტერიას. როგორც ირკვევა, დავით ჯვარისმამის გარდაცვალების შემდეგ, ფავლენიშვილებმა ეპისკოპოსის ზანდუკი გატეხეს და დავითის მიერ შენახული ნიქოზის ტაძრის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები წაიღეს [დოლიძე (V), 1974:40-41].

ნიქოზის ეპარქიაში მოღვაწეობის შემდეგ, იულიოსი ჯერ სამთავისში გადავიდა, შემდეგ ურბნელი ეპისკოპოსი გახდა. მის შემდეგ ნიქოზის ეპარქია ათანასიმ ჩაიბარა (ეს ის ათანასია, რომლის დროსაც ნიქოზის ტაძრიდან ძელიცხოვლის ნაწილი დაიკარგა), ათანასი ნიქოზელს პატრიარქის დავალებით ნიქოზის ეკლესიის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები გადაეცა [დოლიძე (V), 1974:331-332].

ფავლენიშვილები და სოფელი ნიქოზი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, გვერდს ვერ ავუვლით ფავლენიშვილების დამსახურებას ნიქოზის ღვთაების ტაძრის მიმართ.

აღნიშნული გვარის წარმომადგენლები თმოგველ-უჯარმელ-ფავლენიშვილების სახით ნიქოზში XVI საუკუნიდან დამკვიდრდნენ და ღვთაების ტაძარს თავიანთ სამკვიდრებელს და სამარხს უწოდებდნენ [კაკაბაძე, 1913:4]. ამ გვარს ეკუთვნოდა თაყა ფანასკერტელის მეუღლე, მამქან ყოფილი მარინე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჯვრის მონასტრის გალავნის მშენებლობის საქმეში და ოჯახის წევრთა მოსახსენიებლად გარკვეული თანხაც გაიღო, რის გამოც, მის სახელზე მონასტრის ძმებს აღაპიც დაუწესებიათ: ,,თთუესა აპრილსა კ-კბ] ქ. სახელითა ღმრთისაითა მე ცოდვათა დაღონებულმან და ყოველთა მონაზონთა უნარჩევესმა თმოგველთა უჯარმელთა ასულმან მამქან ყოფილმა მარინე ხელ ვყავ და აღვაშენე ჯუარის პატიოსნისა გალავნისა ბურჯი სამამოსაკენ და გამოვიღე სამოცი ფლური ჩუენისა ცოდვილისა სულისა სახსრად. ჯუარო პატიოსანო, შეიწყალე სული ფანასკერტელისა თაყასი და მისისა მეუღლისა მარინესი და მისისა ძმისა როინისი და მისთა დედა-მამათა ა-ნ ა-ნ უფალო“ [მეტრეველი, 1962:210].

მამქან ყოფილი მარინეს მოსახსენიებელი შეტანილია ასევე სინას სულთა მატიანეში, სადაც მოხსენიებულნი არიან მარინეს ძმა და მშობლები, ასევე მისი ქმრის თაყას მხრიდან ნათესავები [მეტრეველი, 1962:149]. ე. მეტრეველის დასკვნით, სინის სულთა მატიანეში მოხსენიებული პირები მოღვაწეობდნენ XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის პირველ მეოთხედში [მეტრეველი, 1962:149].

არ გამოვრიცხავთ, მამქან ყოფილი მარინე იყოს მოხსენიებული შვილებთან ერთად, ნიქოზის ღვთაების ტაძრის საკურთხეველში, სადიაკვნოს შესასვლელის მარცხენა სვეტზე არსებულ რვა სტრიქონიან მხედრულ წარწერაში (იხ: ქვემოთ).

როგორც ჩანს, თმოგველ უჯარმელ-ფავლენიშვილებში არსებობდა წმინდა მიწისადმი პატივისცემის ტრადიცია, რაც, შესაძლებელია მათი ფავნისში დამკვიდრებისა და ფავნელთა

ტერიტორიის დაკავების შემდეგ დაინერგა [სოსიაშვილი, 2010-2013:254]. დოკუმენტებით დასტურდება, რომ ფავნელები აქტიურად ურთიერთობდნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან და ამ გვარის ერთ- ერთ წარმომადგენლის ვარდან ფავნელის სახელზე აღაპიც კი იყო დაწესებული [მეტრეველი, 1962:31].

ნიქოზი რომ ფავლენიშვილების სამკვიდრო იყო, სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება. 1569 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ფავლენიშვილებმა ნიქოზის ხატს სოფელი ნიქოზი შეწირეს. როგორც მივუთითებდით, ფავლენიშვილები ნიქოზს თავიანთ სამკვიდრებელსა და სამარხს უწოდებენ. [კაკაბაძე, 1913:6].

ნიქოზელი ფავლენიშვილები და წმინდა მიწა. XVI საუკუნის ბოლოს წმინდა მიწაზე მოღვაწეობდა ქართველი ეპისკოპოსი ეპიფანე ფავლენიშვილი. პოლონელი ნ. ქრ. რაძივილი და რუსი ვაჭარი ტრიფონ კორობეიკოვი აღნიშნავენ, რომ ქართველებს XVI საუკუნის ბოლოს წმინდა მიწაზე ორი ეპისკოპოსი ჰყავდათ. ერთი ჯვრის მონასტერში, ხოლო მეორე—გოლგოთაზე. კორობეიკოვის ინფორმაციით, 1584 წელს გოლგოთის ქართველი ეპისკოპოსი იყო ეპიფანე. [მამისთვალიშვილი, 2010:27]. როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორივე მოგზაური (იგულისხმებიან ზემოთ ნახსენები პოლონელი რაძივილი და რუსი კორობეიკოვი—გ. ს.) ერთ ეპისკოპოსზე—ეპიფანეზე (ფავლენიშვილი) საუბრობენ. მას პირადად იცნობდა თბილელი ბარნაბა, რომელმაც იერუსალიმი მოილოცა 1570 წელს ურბნელ ვლასისთან ერთად.“ [მამისთვალიშვილი, 2010:27].

ეპიფანეს იცნობდა და მასთან ერთად გოლგოთაზე მოღვაწეობდა შემდგომში გოლგოთას ეპისკოპოსი თეოდოსე მანგლელი რევიშვილი. ისინი ერთად ყოფილან დიპლომატიური მისიით მოსკოვში. თუმცა, სხვადასხვა მიზნებით. თეოდორე კახთა მეფე ალექსანდრე II-ს დავალებით ჩავიდა რუსეთში, ხოლო ეპიფანე იერუსალიმის პატრიარქის სოფრონიუსის თხოვნით გაემგზავრა იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის მონაზვნებთან და ბერებთან ერთად ბორის გოდუნოვთან შესახვედრად. მათ რუს ხელმწიფეს მოწყალება სთხოვეს. ბორის გოდუნოვმა წმინდა მიწიდან ჩასული სასულიერო პირები მიიღო. ქართველი ეპისკოპოსი 1598 წელს ბორის გოდუნოვის გარდაცვალების მომსწრე გახდა [მამისთვალიშვილი, 2010:27-28].

როგორც აღინიშნა, იერუსალიმში მოღვაწე ქართველ ეპისკოპოსს ახლოს იცნობდა თბილელი მთავარეპისკოპოსი ბარნაბა. ეპიფანე ეპისკოპოსს, ბარნაბა, მის მიერ ნაჩუქარი წიგნის 211-212 გვერდებზე არსებულ მინაწერებში იხსენიებს: „სახელითა ღვთისათა... მე ცოდვილმან ტფილელ მთავარეპისკოპოსმან ბარნაბა (შევწირე?) ნიქოზს საყდარსა ხატისა ღვთაებისასა სამკვიდრებელსა და სამარხოსა მამათა ჩვენთასა, რომელი ესე მიბოძაჲ უფალმან ეპიჲან (sic:—ეპიფანე?) ეპისკოპოსმან პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისამან იერუსალიმელისამან. ხოლო შეიწირე მცირე ესე მსახურება...“ [ჟორდანია (I), 2004: 123-124].

თ. ჟორდანია თბილელი ბარნაბას მინაწერზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ბარნაბა თფილელი, ფავლენოვი გვარად, იერუსალიმს იყო 1570 წელს, როგორც გვაუწყებს წარწერა ორს წიგნზე (იხ. ეს თხზულება 1570, 1038 და 1583 წ. ქვეშე) ერთად ურბნელ ვლასესთან და როგორც ეს წარწერა გვაუწყებს, ეს ხელნაწერი იერუსალიმიდან წამოუღიათ საქართველოში“ [ჟორდანია (I), 2004: 124]. თ. ჟორდანია თბილელ ბარნაბას გვარსაც (ფავლენოვი-ფავლენიშვილი) ასახელებს. ბარნაბა რომ

მართლაც ფავლენიშვილი იყო, ამას ადასტურებს წიგნზე მის მიერ გაკეთებული მინაწერი, სადაც ის ნიქოზის ღვთაების ტაძარს თავისი მამა-პაპის სამკვიდრებელს და სამარხს უწოდებს.[3]

ზემოთ აღნიშნული წიგნის მინაწერში ბარნაბა საუბრობს ფავლენიშვილთა საგვარეულოს სამკვიდროსა და საძვალის-- ნიქოზის ღვთაების ტაძრისადმი შეწირულობაზე: „მე ცოდვილმან ტფილელ მთავარეპისკოპოსმან ბარნაბა (შევწირე?) ნიქოზს საყდარსა ხატისა ღვთაებისასა სამკვიდრებელსა და სამარხოსა მამათა ჩვენთასა, რომელი ესე მიბოძაჲ უფალმან ეპივვან (sic:— ეპიფანე?) ეპისკოპოსმან პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისამან იერუსალიმელისამან. ხოლო შეიწირე მცირე ესე მსახურება“... როგორ უნდა გავიგოთ ბარნაბას სიტყვები: „ესე მიბოძა უფალმან ეპიჯან?“

სავარაუდოდ, ეპიფანემ იერუსალიმში მოღვაწე ჯვრის მონასტრის ეპისკოპოსმა (ე. ი. ჯვარისმამამ) კურთხევა და უფლება მისცა ბარნაბას, რომ ნიქოზის ტაძრისადმი მოწყალება გაეღო და „მცირე ესე მსახურება“ ჩაეტარებინა. არ არის გამორიცხული, რომ ეპიფანე (როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს - ფავლენიშვილი) იერუსალიმში მოღვაწე ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, ნიქოზელი ეპისკოპოსიც იყო. სწორედ ამიტომ საუბრობს თბილელი ეპისკოპოსი ბარნაბა ფავლენიშვილი მის მიერ ნიქოზის შეწირულობაზე ეპიფანესაგან გარკვეული ნებართვის ბოძების შესახებ. ეპიფანე მოხსენიებულია ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპში. მისთვის თამაზყოფილი თადეოზის სულის მოსახსენიებლად ფულადი თანხა გადაუცია თამაზის ძმის ვარაზ სურხანისშვილის მიერ გაგზავნილ ფილიპე შაქარაშვილს. გაგზავნილი ფული გაუნაწილდა ჯვრის მონასტრის კრებულს, მათ შორის, თანხის ნაწილი - ორი ფლური გადაეცა ეპიფანეს: „[თუესა დეკენბერსა იგ] შეწევნითაჲ ღ(მრთისა)ჲთაი მოვიდა ფილიპე მ(ო)ნ(ა)ზონი ი(რუსა)ლიმს მ(ო)ნ(ა)სტ(ე)რსა ჯ(უარის)ჲ პ(ა)ტიოს(ა)ნის(ა)სა. მოიტანაჲ სურხანისშვილის ვარაზ(ი)ს გამოგზავნილი საერუსალიმო თეთრით(ა)ვის ძმის თამაზ-ყ(ო)ფ(ი)ლის თადეოზის ს(ა)ს(უ)ლიეროდ და მოგუაბარაჲ ჩ(უე)ნ, ჯ(უარ)ის მ(ა)მ(ა)სა და ერთობილთა ძმ(ა)თა და დათაჲ, ასი ნაღდი ფლური, და გოლგოთას კანდელი დაუკიდეთ. ასრე, რომე უკუნისამდე დაუვსებ(ე)ლ(ა)დ ენთებოდეს და არავინ მოუშალოს; ოცდათურამეტ ფლურად წინდი დაიჴსნა: სამი ბარძიმი, ერთი ფეშხუმი და ერთი თასი. ეს დაიხსნა თ(ა)მ(ა)ზის ს(უ)ლისათ(ვ)ს. ამ(ა)ს გარეთ სამი ფლური მ(ა)ტიანეში ჩასაწერელ(ა)დ მოგუცა. ორი ფლ(უ)რი კ(ა)ტამონს მოაჴმარაჲ. ორი ფლ(უ)რი ჯ(უა)რისმ(ა)მ(ა)ს ს(ა)წირავად. ოთხთ მწირველთ-თითო ფლური. სხ(უა)ჲ ყ(ოვ)ლათ სამლოცველოდათა და ძმ(ა)თ(ა) ქ(ა)რთველთ(ა)თ(ჯ)ს თ(ჯ)ს(ა)დ სამლოცველო თეთრი მოგუცა, სამი აღაპი ქნაი, ს(ა)მი ფლ(უ)რი შილას საორმ(ო)ცოდ, ორი ფლ(უ)რი-ეპიფანეს საწირავად“ [მეტრეველი, 1962:89; მამისთვალიშვილი, 2010:174].

ე. მეტრეველის დაკვირვებით: „ფილიპეს იერუსალიმში დაუყვია წელიწადნახევარი. ამგვარად, „გოლგოთის სვინაქსარის“ 1567 წელი შაქარაშვილის იერუსალიმში ჩასვლისა და იქ ყოფნის პერიოდია. ჯვრის მონასტრის განსახილველ აღაპში მოხსენიებულია აგრეთვე ეპიფანე, რომელიც ამ დროს ჯვარის მამა ყოფილა. ეს ჩანს შემდეგიდან: აღაპის დასაწყისში ზოგადად წერია, რომ ფილიპემ

[3]ფავლენიშვილების იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან ურთიერთობის შესახებ იხ. [სოსიაშვილი, 20018: 276-284]. გ. სოსიაშვილი, ფავლენიშვილების ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, XIII, თბ., 2018, გვ. 276-284.

ორი ფლური მისცა ჯვარისმამას საწირავად. ჯვარის მამის სახელი აქ მოტანილი არ არის. ხოლო უფრო ქვემოთ, როდესაც დაწვრილებითაა ფილიპეს საქმიანობა გადმოცემული, როგორც აღაპში ვნახეთ, ფილიპემ ორი ფლური მისცა ეპიფანეს საწირავად. აშკარაა, რომ ზემოთ მოხსენიებული ჯვარისმამა, რომელმაც ორი ფლური მიიღო საწირავად, და ეპიფანე ერთიდაიგივე პირია. მისი ჯვარის მამობა დადასტურებულია 1593 წელსაც“ [მეტრეველი, 1962:147].

ჯვარის მამა ეპიფანე, ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში იხსენიება როგორც წიგნის „შემკაზმავი“. ე. მეტრეველის განმარტებით, ანდერძი დაწერილია 1584 წელს [მეტრეველი, 1962:38].

ეპიფანე სხვა დოკუმენტშიც გვხვდება. ეს არის იერუსალიმის № 51 ხელნაწერზე არსებული ანდერძი: „მე...მღვდელ-მთავარმან და წმიდა ქალაქსა იჱრუსალემსა კეთილად-მსახურთა და ღვთივ-დაცულთა მეფეთაგან წარმოგზავნილმან აქა წმიდასა და საუფლოთა სისხლითა მორწყულისა წმიდისა გოლგოთისა და ...ჯუარისმამად და წინამძღვრად ჩინებულმან უღირსმან ეპიფანე შევჰკაზმე წმიდა ესე...წიგნი ცხორებაჲ წმიდათა მამათა ჩუენთა“ [მეტრეველი, 1962:37].

რუსი მოგზაურის ტრიფონ კორობეინიკოვის იერუსალიმში მეორე მოგზაურობის დროს 1593 წელს, ე. მეტრეველის ვარაუდით, ეპიფანე ან გარდაცვლილია, ან გადამდგარია საეკლესიო თანამდებობიდან [მეტრეველი, 1962:38]. ე. მეტრეველი ჯვარის მამების ქრონოლოგიური რიგის დადგენის დროს აღნიშნავს: „1570 წელს ჯვარისმამად ჩანს ბარნაბა. იერუსალიმის ერთ ხელნაწერს, რომელიც გ. ავალიშვილმა ჩამოიტანა იერუსალიმიდან, აქვს 1570 წლით დათარიღებული ანდერძი, დაწერილი ხელნაწერის შემკაზმველის ვლასი ურბნელი მთავარეპისკოპოსისა და ბარნაბა თბილელი მთავარეპისკოპოსის მიერ (ჰ—2336), ხოლო იერუსალიმის მეორე ხელნაწერის ანდერძში (№ 125 ცაგარელის კატალოგის მიხედვით, № 38, ნ. მარის კატალოგით) თბილელი მთავარეპისკოპოსი ბარნაბა ამავე დროს ჯვარის მამად არის წოდებული. გ. ავალიშვილისეული ხელნაწერის მიხედვით, ბარნაბას ჯვარის მამობა XVI საუკუნის 70-იან წლებში უნდა ვივარაუდოთ“ [მეტრეველი, 1962:37].

ე. მეტრეველის ვარაუდს ეყრდნობა ე. მამისთვალიშვილიც. როგორც მკვლევარი მიუთითებს, XVI საუკუნის 70-იან წლებში ბარნაბა ერთსადაიმავე დროს იყო ჯვარის მამა და თბილისის მთავარეპისკოპოსი [მამისთვალიშვილი, 2010:174].

ჯვარისმამების ქრონოლოგიურ რიგში ე. მეტრეველიც და ე. მამისთვალიშვილიც ეპიფანემდე ჯვარისმამად ბარნაბას მიიჩნევენ. როგორც აღვნიშნეთ, თამაზყოფილი თადეოზის სახელზე დაწესებულ აღაპში მოხსენიებულ ეპიფანეს ე. მეტრეველი ჯვარის მამად მიიჩნევს. ეს აღაპი ფილიპე შაქარაშვილის იერუსალიმში ჩასვლის დროს 1567 წელს დაწესდა. ეპიფანე კიდევ ერთ აღაბეგისშვილის ისკანდერის სახელზე დაწესებულ აღაპშია მოხსენიებული: „ამასვე დღესა წირვადა (ა)ღაპისა უკუნო ძმისა ჩ(უე)ნისა ისკანდარისი, აღაბეგასშვილისა. რარიგადცა მონასტერსა ძალ-ედვას, ძმათათ(ჳ)ს კარგი ტრაპეზე შეიმზადებ(ო)დეს ყ(ო)ვლითა წარსაგებ(ე)ლითა, თჳთ მ(ა)მა ჯ(უა)რისა, დარ(ა)მდონიც მღდელნი იყუნენ, ჟამსა უწირევდენ. ამისა დაკლებ(ა)დ ნუ ვინ იკადრებთ, რ(აჲთ)ა არა ბრალეულ იქმნეთ. ვიდ(რემდ)ის ესე მონასტერი ეგოს, თუ ორნიცა ქართველნი იყვნ(ე)ნ, ნუ დააკლებენ, რამეთუ დიდსა შეჭირვებიში ვიყვენით, ვენაჴი და რაც საყდრისი არ აღიარის, ყვალა ამანათად იყო. ამან [და]იჴსნა, რვაასი დუკატი დახარჯა. და გაუჩინეთ აღაპი დაუკლებელი და [ო]რი კანდელი დაუვსებ(ე)ლი დაუკიდეთ. ერთი გ(ო)ლგ(ო)თას კლდის გ(ა)ნხეთაზედა და [ე]რთი ჯ(უარ)ის თვალზ(ედ)ა. ესე გაუჩინეთ მე, ჯ(უარ)ის მ(ა)მამ(ა)ნ ეპიფანე, და ძმათა ყ(ოველ)თა

ჩ(უე)ნისა [მ]ონასტრის(ა)თა. გ(ა)მთავებ(ე)ლნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან კურთხევით მით აბრამიანითა და...იგი ჩ(უე)ნ ყ(ოველ)ნი, ა-ნ.“ [მეტრეველი, 1962:103].

ე. მეტრეველის ვარაუდით, ეპიფანეს ჯვარისმამობის წლებია 1567-1593. ოღონდ, აქ ერთგვარ წინააღმდეგობას ვაწყდებით. თუ თბილელი ბარნაბა XVI საუკუნის 70 –იან წლებში ჯვარის მამა იყო, მაშინ ეპიფანე 1567-1593 წლებში ბარნაბას ჯვარისმამობის დროს იერუსალიმის ქართველთა მონასტრის წინამძღოლი ვერ იქნებოდა. ჩვენი აზრით, ბარნაბამ მცირე ხნით, თავისი სახლისკაცი ეპიფანე შეცვალა. როგორც ზემოთ ითქვა, ეპიფანე დიპლომატიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ის ბერძენი პატრიარქის დავალებით რუსეთის მეფეს-ბორის გოდუნოვსაც ეწვია. 1598 წელს ეპიფანე და მისი მხლებლები ბორის გოდუნოვის გარდაცვალებასაც შეესწრნენ. [მამისთვალიშვილი, 2010:28]. რუსმა მოგზაურმა ტრიფონ კორობეინიკოვმა აღდგომის ეკლესიაში ჯვარცმის ეკვდერს შესაწირი გადასცა. მოგზაურს, როგორც ე. მეტრეველი განმარტავს, ფული უბოძებია ქართველთა სამლოცველოს წინამძღვრისათვის, რომელიც მოგზაურის ინფორმაციით, ეპიფანეს ნაცვლად იყო [მეტრეველი, 1962:38]. თუ ეპიფანე 1598 წელს რუსეთში იმყოფებოდა, მაშინ ის, 1593 წელს, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და დიპლომატიური საქმიანობიდან გამომდინარე, დროებით დატოვილი ჰქონდა ჯვარის მონასტრის წინამძღოლობა. იგი მცირე ხნით ბარნაბამ შეცვალა. მალე ბარნაბამ წმინდა მიწა დატოვა და საქართველოს დაუბრუნდა. თბილელი მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი ბარნაბა ფავლენიშვილი XVI საუკუნის II ნახევრის არაერთ დოკუმენტში იხსენიება, როგორც სამეფო კარის მწიგნობარი და საბუთების დამწერი [სურგულაძე, აბაშიძე (IV), 2016:276]. 1566 წლით დათარიღებული დოკუმენტი: „შეწირულობის წიგნი სვიმონ მეფისა სვეტიცხოვლისადმი“, თბილელი მთავარეპისკოპოსის--ბარნაბა ფავლენიშვილის ხელით არის დაწერილი [სურგულაძე, აბაშიძე (IV), 2016:263].

ბარნაბა 1580 წლით დათარიღებულ რამდენიმე დოკუმენტშიც გვხდება. ბატონიშვილ რამაზყოფილის რომანოზის მიერ ქვათახევის მონასტრისათვის ბოძებულ სიგელში, ბარნაბა იხსენიება, როგორც ტფილელი მთავარეპისკოპოსი. რამაზყოფილის სიგელი სწორედ მას დაუწერია. [კაკაბაძე (IV), 1913:77]. ბარნაბა გვხვდება ასევე ტფილისის სიონისადმი 1580 წელს იოთამ ჯავახიშვილის მიერ ბოძებულ სიგელში [კაკაბაძე (IV), 1913:77-78].

შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVI საუკუნის II ნახევარში ნიქოზში მცხოვრებ ფავლენიშვილთა საგვარეულოს ორი მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე ჰყავდა: ეპიფანე და ბარნაბა ფავლენიშვილები, რომლებიც, გარკვეული დროის განმავლობაში, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს ხელმძღვანელობდნენ. ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო გააქტიურდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში ჯვრის მონასტრის მამა კვლავ ნიქოზელი ეპისკოპოსი დავითი იყო, რომელიც ძალზე აქტიურ საქმიანობას ეწეოდა.

ნიქოზი გახლავთ მშობლიური სოფელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II საძაგლიშვილისა. სწორედ ქვ. ნიქოზის წმ. გიორგის ეკლესიაში არიან დაკრძალულნი მისი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, რის შემდეგ იგი ბერად აღიკვეცა და სასულიერო ცხოვრება დაიწყო. კირიონი ბევრს ზრუნავდა მშობლიური სოფლის სვე-ბედზე, 1887 წელს იგი ყოფილა ერთ-ერთი

ინიციატორი ღვთაების ტაძრის აღდგენისა, რასაც ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გაკეთებული წარწერაც გვაუწყებს (იხ: ღვთაების ტაძრის წარწერები).

ზემო ნიქოზის სიძველეთაგან აღსანიშნავია ღვთაების (თავისი გალავნით, სამრეკლოთი და ეპისკოპოსის სასახლით), მთავარანგელოზისა და ე. წ. ,,ჩაძირული" ტაძრები, ხოლო ქვემო ნიქოზში წმ. გიორგისა და კვირაცხოვლის ეკლესიები.

სამრეკლო დგას ღვთაების ტაძრის გალავნის ჩრდილოეთ-დასავლეთ კუთხეში. თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. ნაგებობა ორსართულიანია (5,45 X 5,35 მ), ფასადები შემოსილია რუხი ფერის თლილი ქვით. სამრეკლოს პირველი სართული დასავლეთიდან-აღმოსავლეთით ჭიშკარია, რომელსაც ორივე მხრიდან შემოუყვება შეწყვილებულლილვიანი თაღები. დასავლეთის კედელზე ჯვრის სამი გამოსახულებაა. ნახევარწრიული კამარა ეყრდნობა სამ თაღს. მეორე სართული (5,35 X 5,45 მ) ზარების ჩამოსაკიდი ფანჩატურია. სართული ოთხივე მხარეს გახსნილია ორ-ორი შეისრული თაღით. სართულებს აკავშირებდა ხის კიბე. ამჟამად სამხრეთიდან მიდგმული აქვს ქვის კიბე, რომლითაც შესაძლებელია მეორე სართულზე მოხვედრა. სამრეკლო გადახურულია კამარით. ოთხივე ფასადი მთავრდება ფრონტონით, რომელთა კეხზე ცხვრის თავის ქვის გამოსახულება დგას. სამრეკლოს ორივე მხრიდან ებჯინება მოგვიანებით სიპი ქვით აგებული გალავნის კედლები [საქართველოს (V), 1990:68].

ღვთაების ტაძარი დგას სოფლის ცენტრში. ეკლესიის პირველი სამშენებლო ფენა თარიღდება V_VI საუკუნეებით. ტაძარი რამდენიმეჯერ ისეა გადაკეთებული, რომ სამშენებლო ფენების დადგენა გაძნელებულია. ჯუანშერის ცნობით იგი ვახტანგ გორგასალის დაკვეთით აუგიათ და თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა.



ეკლესია ამჟამად ჯვარ-გუმბათოვანია (16,7 X 11,15 მ), შიგნით და გარეთ შემოსილია თლილი ქვით. შესასვლელი დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით (ამოქოლილია) აქვს. აღმოსავლეთის და დასავლეთის მკლავი დანარჩენთან შედარებით დაგრძელებულია. ოთხივე მკლავში თითო სარკმელია. საკურთხევლის აფსიდის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნე აქვს. ორივე სათავსი სწორკუთხაა, გადახურულია კამარით, დასავლეთით შესასვლელი აქვთ - აღმოსავლეთით - თითო სარკმელი. გუმბათი აღმოსავლეთ კედლის კუთხეებსა და დასავლეთის კედლის დიდ შვერილ პილონებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა თაღები შეისრული ფორმისაა. გუმბათის ყელში რვა სარკმელია. იატაკი ნატეხი ქვისა და აგურისაა.

ეკლესია შიგნიდან მოგვიანებით შეულესიათ. შენობა გადახურულია ლორფინით. მარტივ პროფილიანი ლავგარდანი გვიანდელია. აღმოსავლეთ ფასადის სარკმელი XIX საუკუნის ბოლოს გაუუქმებიათ და მის ნაცვლად მაღალი და განიერი სარკმელი გაუჭრიათ. გაუქმებული სარკმლისგან შემორჩენილია თაღები და თაღებზე აღმართული ჯვარი. სარკმლის თაღი სხივისებრად ნაწყობი ქვებითაა მიღებული. მასაც დეკორატიული თაღებით დამუშავებული თავსართი აქვს. გაგანიერებულია სამკვეთლოსა და სადიაკვნის სარკმლებიც. ფასადის მაღალ სარკმელს შემოუყვება ლილვებში მოქცეული არშია, რომელიც გარედან შეწყვილებული ლილვითაა მოჩარჩოებული. ლილვის კაპიტელები და ბაზისები ორნამენტირებულია. სარკმელთან სამი გირჩი და წრეში ჩასმული ჯვარია. დაბალი ცილინდრული გუმბათის ყელი გაწყობილია დეკორატიული თაღებით. შენობისათვის ოთხივე კეხზე მოგვიანებით ქვის ცხვრის თავები დაუდგამთ [საქართველოს (V), 1990:68-69].

ცნობილი რუსი ეთნოგრაფი და მოგზაური, მოსკოვის საიმპერატორო არქეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე პრასკოვია უვაროვა, რომელმაც ნიქოზი 1890 წლის 23 აგვისტოს მოინახულა, წერს, რომ ტაძარს ჩრდილო და სამხრეთ კედლებში ჰქონია ლამაზი ვერანდები, რომელიც რესტავრაციის დროს მოუშლიათ [Уварова (III), 1904:183-185].

გიორგი საძაგლიშვილის (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II) ცნობით, ღვთაების ტაძარი აღუდგენიათ 1888-1896 წლებში. ინიციატივა ამის შესახებ სწორედ პრასკოვია უვაროვას ეკუთვნოდა და იგი მიეძღვნა სადგურ ბორკის მახლობლად სარკინიგზო ავარიაში

იმპერატორ ალექსანდრე III-ის ოჯახის სასწაულებრივ გადარჩენას [Садзагелов-Ивериели (№20), 1896:5-12].

ტაძრის შიგნით, ჩრდილო კედელზე მიმაგრებული ფილა გვაუწყებს, რომ ტაძრის აღდგენა გორის მაზრის მარშალ ივანე სულხანიშვილის, გიორგი საძაგლიშვილის, ზაქარია ფავლენიშვილის და მღვდელ იოანე დავიდოვის თაოსნობითა და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით მომხდარა (იხ: ფოტო).

მთავარანგელოზის ტაძარი მდებარეობს ზემო ნიქოზის ცენტრში, ღვთაების ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით. თარიღდება X საუკუნით. ნაგებობა ჯვარგუმბათოვანია (8,5-5,3 მ), ნაგებია ნატეხი და თლილი ქვით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია, გუმბათის ყელზე, ჩრდილოეთით, სამი ლომია გამოსახული. გამოსახულებები სქემატურია. ფასადებზე ზოგგან ჩუქურთმიანი ქვებია ჩართული. გუმბათის ყელს გრეხილლილვებიანი უწყვეტი თაღი შემოუყვება. გუმბათის ლავგარდანი მოჩუქურთმებულია [საქართველოს (V), 1990:68].

რაც შეეხება ქვემო ნიქოზის **წმინდა გიორგის ეკლესიას,** იგი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. თარიღდება გვიანფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8,5 X 6 მ), ნაგებია რიყის და ტუფის ქვით. საქართველოს ისტორიისა და ძეგლთა აღწერილობის მე-5 ტომში მითითებულია, რომ ,,შენობა ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამაროვანი გადახურვა, დანგრეულია ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების ზედა ნაწილი, დარღვეულია იატაკის დონე აღმოსავლეთის ფასადზე, ტუფის ქვაზე, გამოსახულია რელიეფური მაღალი ჯვარი. მის ქვემოთ დაზიანებული ასომთავრული წარწერაა (არ იკითხება). ეკლესიას შემოვლებული აქვს შირიმის ქვით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდანი “ [საქართველოს (V), 1990:115].

ამჟამად ეკლესია აღდგენილია და სახურავიც გადახურულია.

ნიქოზის ღვთაების ტაძრის სამრეკლოს წარწერები

სამრეკლოს აღმოსავლეთ კედლის მეორე სართულზე შიგნიდან მარცხენა მხარეს 6 სტრიქონიანი ნაკვეთი წარწერაა, გრაფემის მაქს. 0,4 სმ, მინ. 3,7 სმ.

<u>დაზიანებები:</u> 1) მთელ წარწერას ზემოდან ეტყობა შელესილობისა და კირის ხსნარით შეღებვის კვალი. 2) პირველი სტრიქონის პირველი ასო ნაწილობრივ ატკეჩილია.

<u>გამოცემები:</u> ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, გვ.155-156; M. Brosset, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848, SPB 1851, VI.p. 55.

(წ) ღო შე ა
მსამრეკს
(გ)ლტოზნი (გ)
რიტიშლი გ(ი)
ჯორის კი
ხრებ(ელნი).

ე. ი. *„წმინდაო ღმერთო, შეიწყალე ამ სამრეკლოის გალატოზნი, გვრიტიშვილი გიორგი ჯუარის კაცი (მა) ხარებელნი“.*

სამრეკლოს შიდა აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა მხარეს 7 სტრიქონიანი ნაკვეთი წარწერა, გრაფემების მაქს. 3 სმ, მინ. 2,7 სმ.

<u>დაზიანებები:</u> არა აქვს, მთლიანობაში იკითხება.

<u>გამოცემები:</u>ი. მეგრელიძე, გვ.155; M. Brosset, p. 55.

„წ. ღო: შე: ა
რ სამრკ
ლსა: გლტ
ოი. მემრნი
შვილი მხრებ
ელი ოხცესი
ი ან“

ე. ი. ,,1.წმინდაო ღმერთო, შეიწყალე ა2.რ(?) სამრეკ3.ლოსა გალატ4.ოზნი, მემარნი5.შვილი[4], მახარებ6.ელი უხუცეს7.ი, ამინ“.



სამრეკლოს გარეთ აღმოსავლეთის კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 9 სტრიქონიანი ნაკვეთი მრგვლოვანი წარწერაა, სიგანე 0,45, სიგრძე 0,65.

<u>დაზიანებები:</u> წარწერიანი ფილის მესამე-მეოთხე და მერვე-მეცხრე სტრიქონების ადგილებში ქვა ამოტეხილია და წარწერის გარჩევა ჭირს.

<u>გამოცემები:</u>ი. მეგრელიძე, გვ.154-155; M. Brosset, p. 56.

წ. სხლითა ღვ
სთა ქე შე ამ
ს(?) გლტზნი მემ
არნიშლი მხრებე
ი ჯრის კცი მხ
რებლი გვრიტიშვილი
გი შნს ღნ ცდ
ან (?) ნი ან“

გამოტოვებული ადგილების შინაარსის აღდგენასშემდეგი სახით ვახდენთ:

1.**წ**(მინდა)**ს**(ა)**ხ**(ე)**ლითაღვ**(თი)
2.**ს**(აი)**თაქ**(რისტ)**ეშ**(ეიწყალ)**ე** ამ
3.**ს**(ამრეკლო)**სგ**(ა)**ლ**(ა)**ტ**(ო)**ზნიმემ**
4.**ა....ლიმარ**(ა)**ბ**(დე)**ლ**
5.**ი**(?)**ჯ**(უა)**რისკ**(ა)**ციმ**(ა)**ხ**
6.(ა)**რ**(ე)**ბ**(ე)**ლი**
7.**გუერიტიშვილი**
8.**გ**(იორგ)**იშ**(ეუ)**ნ**(დო)**სღ**(მერთმა)**ნც**(ო)**დ**
9.(ვა)**ნი** (თვის)**ნიამინ**.

[4]მარი ბროსე წერს: ,,მარინიშვილი მსარებელი“ იხ: M. Brosset, VI, p. 56.

ღვთაების ტაძრის წარწერები

სამხრეთიკედელი

1. ფირნიშის მაღლა მარცხენა კუთხეში, ჩუქურთმიან ქვაზე, წმ. გიორგის გამოსახულებაა;

2. მარცხენა დაბლა კუთხეში აყვავილებული ორნამენტული ბოლნურ-კაცხური ჯვრის გამოსახულება.

3. მთავარი შესასვლელის მარცხენა მხარეს კარნიზის დასავლეთით ასომთავრული წარწერის კვალი; ირკვევა ,,**მან...**“.

4. მთავარი შესასვლელის მარცხნივ, ოვალური თაღის აღმოსავლეთით, გრაფემის მაქს. 4,3, მინ.3,8სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის კვალი (წარწერა შეუსწავლელია).

ც(ტ?)ათვს ..ოე
ორსავ თმს
შ-ე (შეიწყალე)

ა) ოთხსტრიქონიანი ნაკაწრი მხედრული წარწერა - ქვის სიგრძე 0,48, სიგანე 0,42, გარკვევით იკითხება მეორე სტრიქონი (წარწერა შეუსწავლელია):

ქ დ ..... ს
დეკნოსა დამ[ია]ნემ
...ლ ....წინთა
.....ალმრ.

ბ) მის მაღლა დაზიანებული ოთხსტრიქონიანი მხედრული ნაკაწრი წარწერაა, ქვის სიგანე 0,44, სიგრძე - 0,67 (წარწერა შეუსწავლელია)

ქ ღთ ...ბორ
.....გრთ ....რთლეთ
...ულის ...ლში
...იგ ...ე

გ) მთავარი კარიბჭის თავზე, ამოკვეთილი ჯვარი, ზერძნული წარწერა 1 სიტყვიანი (1883 г. ПОТЄНИКА)

დ) კარიბჭის მარჯვნივ, ორსტრიქონიანი ნაკვეთი წარწერა, მარცხენა გვერდზე მისდევს ზამბარისებრი ორნამენტი.

<u>დაზიანებები:</u> წარწერის მეორე სტრიქონში მესამე გრაფემა ატკეცილია და გარჩევა,,თ“-ა თუ ,,ღ“. ასევე რთულია ზუსტად ბოლო გრაფემის განსაზღვრა . თითქოს წარწერა დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

<u>გამოცემა:</u>ი. მეგრელიძე, გვ.148;

ბენიამენ
შე თგბი(?)



5. სამხრ. კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, კუთხის ქვა, მიწიდან 169 ს, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ორსტრიქონიანი ნაკაწრი წარწერის კვალი(წარწერა შეუსწავლელია).

ოთილ ემთ
რნლ

6. დასავლეთ კუთხეში წარწერა, ატკეცილი და დაზიანებულია, შემორჩენილია ,,დ“ გრაფემის კვალი

7.კვადრში ჩასმული ორსტრიქონიანი წარწერა, ზემოთჩანს ,,შ“ გრაფემის კვალი, ქვის ზემოთა ნაწილი დაჭვრეთილია (შესაძლოა, ბრაკონიერების კვალი იყოს)

7. მთავარი შესასვლელის დასავლეთ ნაწილში მხედრული, ძლიერ დაზიანებული ორსტრიქონიანი ნაკვეთი წარწერის კვალი, ქვის დიდი ნაწილი ატკეცილია და ნაკლებად გასარკვევია (წარწერა შეუსწავლელია)

თ.. ას...
ემთაქრ ...რეი...შ

8. კედლის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, მაღლა კუთხეში სამსტრიქონიანი ასომთავრული ამობურცული წარწერაა, რომელსაც ი. მეგრელიძე მეხუთე საუკუნის ბოლო ხანებითათარიღებს:

<u>დაზიანებები:</u> 1) ქვის ატკეცის გამო დაზიანებულია პირველი სტრიქონის ყველა გრაფემა და მესამე სტრიქონის ბოლო ორი გრაფემა. ადგილებზე წარწერას აბუნდოვნებს შელესილობისაგან მიყენებული დაზიანებებიც. როგორც ჩანს, ეკლესიის შეღებვისას ხსნარი წარწერასაც მიესხა და მეორე და მესამე სტრიქონის დიდი ნაწილი ყვითელი შეფერილობისაა.

<u>გამოცემები:</u>ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, გვ.147; M. Brosset, VI.p. 54; Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Аркитектура нагорной части исторической провинции Грузии (Шида Картли), Тб., 1975, стр. 12; ნ. შოშიაშვილი, ლაპიდარული წარწერები, გვ. 187.

,

ქ. ამენ მ(ი)ქ(აე)ლ
ეპისკ(ო)პ(ო)ზმ(ა)ნ აღვ(ა)
შ(ე)ნე წ(მინდა)ჲ ეკლ(ე)ს(ია)ჲ

დასავლეთის კედელზე

1) მიწიდან დაახლ. 3 მ. სიმაღლეზე, კუთხის ქვის წარწერა 1,70 სიმაღლეზე**დკნი ჲ** (დიაკვანი იოანე?)

2) სარკმლის მარცხნივ ყვითელ ქვაზე ძველ წარწერაზე გადაწერილი წარწერის ფრაგმენტი, იკითხება მხოლოდ **„და...“**

3) ძლიერ დაზიანებული წარწერა კარიბჭის ზედა ოვალზე ორნამენტებს შორის, ალაგ-ალაგ ამოტეხილია და წაკითხვა პრაქტიკულად შეუძლებელია ირკვევა მხოლოდ ცალკეული გრაფემები;

4) მე-3 წარწერის ფრაგმენტი ადამიანის თავის გამოსახულება - სიგანე 50 სმ, სიგრძე - 0,60.

5) სარკმლისზედაყვითელ ქვაზე 6 სტრიქონიანი ნაკვეთიწარწერა.

ი. მეგრელიძის წაკითხვით:



წ. ესძეს შე

ლს კას. შ. იდნდღ

მსშავ ჯრსაი

ლვ ? ს დს შსაის (?)

ქფ (?). [მეგრელიძე, 1984:146]

მიგვაჩნია, რომ ი. მეგრელიძის წაკითხვა მთლად ზუსტი არ არის. პირველ სტრიქონში გრაფემა „**წ**“ ს შემდეგ სამი ბუნდოვანი გრაფემის (ურ?) შემდეგ აშკარად ჩანს „**სმნ**“, შემდეგ „**შე**“ (შეიწყალე)

მეორე სტრიქონში: „**ს კას შედნ** (შეუნდვნენ).მესამე სტრიქონში ჩვენ ვკითხულობთ:**მისა შვილსა შ,** ხოლო ბოლო სტრიქონში: **ვრდს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ**

მთლიანობაში ჩვენ მიერ წაკითხული წარწერა შემდეგ სახეს იღებს:

1.წ(მინდა)უ(..)ლსმ(ა)ნ ი(ოანე)ს შე(უნდვე)

2...სკ(ახ)ას? შე(ცო)დ(ება)ნი

3.მისა შვილსა შ

4.ავ(ე)რდ(ა)სა შ(ეუნდვნე)ნ ღ(მერთმა)ნ.

6) შესასვლელის მარჯვენა მხარეს ჩუქურთმიან კარნიზზე;

7) კარიბჭის მაღლა, ლურჯ მოჩუქურთმებულ ქვის ზემოთ, ი. მეგრელიძის წაკითხვით: „„...ძᲑ ᲑᲚ ერსთს ძᲑ“. [**მეგრელიძე, 1984:147**]

8) კარიბჭის მარჯვენა მხარეს, ჩუქურთმის მარჯვნივ ორ სვეტზე 10 სტრიქონიანი მხედრული წარწერა (წარწერა შეუსწავლელია)

ქ. ოფ(ა)ლო
იქს
ცა ლქგავ ნოს
ნუ წამწყ (იდნოს) ნ
უსქ ად მესმ...
მინდა ღ(მერთი)ს
იქიდან შ
მისო
ღ ნება
ნა ნე
ღ

აღმოსავლეთის კედელზე

1) აღმოსავლეთ კუთხის ქვა, ყვითელი შეფერილობის, იატაკიდან 1,7 სმ. ჩანს ძალზე დაზიანებული წარწერის კვალი. ზედ გადალესილია და წარწერის ძირითადი ნაწილის აღდგენა შეუძლებელი ხდება, თუმცა, ირკვევა გრაფემების ნაშთი: **„ქ“, „ძ“, „ე“, კე“**



1)კედლის სამხრეთ ნაწილში კუთხის ქვაზე, ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის კვალი, ძლიერ დაზიანებული . ქვა ადგილ-ადგილ ატკეჩილია და გრაფემების მოხაზულობა არ ირკვევა (წარწერა შეუსწავლელია)

წ(მინდა)ო ღთ თვ...

ქ ე...ეთ ე....ვ

მუ ...

.....რო.....

.....ემ

2)ტაძრის აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილში ძალიან მაღლა მსხვილი და ამობურცული მრგვლოვანი ასოებითორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა.

<u>დაზიანებები:</u> ნაწილობრივ ატკეჩილია 1 სტრიქონის მე-4,5 და 6 და მეორე სტრიქონისმე-2 და მე-3 გრაფემები

<u>გამოცემები:</u>ი. მეგრელიძე, გვ.147; M. Brosset, p. 55; P. Меписашвили, В. Цинцадзе. стр. 12; ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XIსს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 71.



ქ წო სრეზრა
პრ ლ ეპკი შე

ანუ, 1.ქ(რისტე) წ(მინდა)ო სრე (?)ზ(აქა)რ(ი)ა,2.პ(ი)რ(ვე)ლ (?) ეპ(ის)კ(ოპოს)ი შ(ეიწყალ)ე)[5].

აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში ჩადგმულ ერთ ქვაზე გამოსახულია სამი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ბოლნურ-კაცხური ჯვარი, წრეშია ჩასმული. ორ მათგანს ორნამენტირებული არშია აქვს შემოვლებული. ერთი ჯვარი შედარებით მცირე ზომისაა. სიგრძე 0,43, სიგანე 0,56; სიგრძე 0,70, სიგანე 0,40. ცენტრალური ჯვარი, სიგანე 0,25, სიგრძე 0,31.

ქვის ზემო ნაწილში ჩანს სამი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ასომთავრული წარწერის კვალი. ზემო ერთსტრიქონიან წარწერაში ირკვევა გრაფემების კვალი:**ქე ცნ**

თითქოს წარწერა გადადის ქვის მარჯვენა მხარესაც, მაგრამ ამ ადგილას ქვა ამოტეხილია და წარწერის ეს ნაწილი გაურკვეველია.მის დაბლა წარწერაში შინაარსის ნაწილი შედარებით უკეთ ირკვევა: **ე ე(?) ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე იც...**

ქვემოთ ჩანს მხოლოდ რამდენიმე გრაფემა: **ყ(ოვლა)დ როდ...**

---

[5]ი. მეგრელიძე წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: ,,**ქრისტე წმინდაო სრეზრა, პძლ (?) ეპისკოპოსი შეიწყალე**“. [**მეგრელიძე,1984:147**], ხოლო ნ. შოშიაშვილი: **,,ქ(რისტე) წ(მინდა)ო ს(ა)მე(ბაო) ზ(აქა)რ(ი)ა, პ(ი)რ(ვე)ლ (?) ეპ(ის)კ(ოპოს)ი შ(ეიწყალ)ე)**“, [**შოშიაშვილი, (I) 1980:71**]

ამავე ქვაზე ეტყობა ვანდალიზმის კვალი, ამოკვეთილია რუსული გრაფემა ,,Я“

აღმოსავლეთ კედელზე ცენტრალურ ნაწილში მიწიდან 1 მეტრზე ჩადგმულ თლილ ქვაზე გამოსახულია კარედები. ცენტრალურ კარედში ჩასმულია ჯვარი, ჯვრის ნაწილებში მინაწერები აქვს, უკეთესად ჩანს ზედა მარჯვენა და მარცხენა მხარის მინაწერები. მარცხენა მხარეს ოვალურად კარედს მისდევს: ,,**რჟდ**“, ხოლო ჯვრის მარჯვენა მხარეს **ჭაძ მამბ.**

ჯვრის ორივე ქვედა ნაწილი ხელოვნურადაა ამომტვრეული და ძლიერ დაზიანებული.

მარჯვენა კარედში ჩანს დიდგვაროვანის სამოსში (კაბაში) ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც სახე ხელოვნურად აქვს დაზიანებული. კარედის მარჯვნივ ქვის თავისუფალ სივრცეში ვკითხულობთ:

ი(ო)ვა(ნ)ე
სტ(ე)ფ(ა)ნე
ზ(ა)ქ(ა)რი(ა)
ქრე (ქრისტეფორე)?
შ(ეიწყალ)ე

ხსენებული გამოსახულების მესამე კარედი, სავარაუდოდ, გრძელდებოდა მის მარცხენა მხარეს, რომელიც დაკარგულია და რესტავრატორებმა, გარეგნული ეფექტის მოხდენის მიზნით, აღნიშნულ ქვას შეცდომით მარცხნიდან მიადგეს ორნამენტებით შემკული ბოლნურ-კაცხურ ჯვრიანი ზემოაღწერილი ქვა.

ცენტრალურ ქვას მარჯვნიდან მოსდევს წარწერებით დატვირთული ქვა, რომელსაც ძალზე ატყვია ვანდალიზმის კვალი, ქვა მთელ რიგ ადგილებში ატკეჩილია. თუმცა, ძველი ზოგიერთი ძველი წარწერის აღდგენაც შესაძლებელია. მაგ:

ნუსხური სამსტრიქონიანი წარწერა, გრაფემების ზომა დაახლ., 1,5 სმ სიგანე, 0,4 სმ. სიგრძე:

ძეო ღ(ვ)თისაო ევ...რე
ე(პი)ა(ა)ნე? შ(ეიწყალ)ე კ...ტა
რე .....სძე

ხსენებული წარწერის მარჯვნივ ასევე დაზიანებულ და ატკეჩილ ქვაზე ერთსტრიქონიანი წარწერა: **ქე ბი შე** (ქ(რისტ)ე ბ(აქარ)ი? შ(ეიწყალ)ე),

მის დაბლა, მარჯვნივ ორი ერთსტრიქონიანი ნუსხური წარწერის კვალი: **გ..ი..ე ბ..ქ..ბ ..ეძე**

შ(ეიწყალ)ე ლ ....მა

დასახლებული ქვის მარჯვნივ, კედლის ცენტრალურ ნაწილში ღვთის მავედრებელი რამდენიმე ნაკაწრი წარწერაა **ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე**

კედლის მარჯვნივ უკიდურეს კუთხის ქვაზე მიწიდან 2,5 მეტრზე, ოთხი წარწერის კვალი, გრაფემების სიგრძე 6 სმ. ი. მეგრელიძე წარწერის მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვაში ,,ხკრ“, კითხულობს როგორც ,,ხოკარ“ **[მეგრელიძე, 1984:149]:**

წო ეკლე...
ქე შე ხკრ
(წმინდაო ეკლე(სიაო)
ქრისტე, შეიწყალე ხკრ (?)

იმავე ქვაზე მოხსენიებული წარწერის ზემოთ: **წ(მინდა)ო ეკლე(სიაო)**

ზემო აღნიშნული ქვის საყრდენიქვის მარცხენა ნაწილში:

წ(მინდა)ო სტ(ეფა)ნე შ(ეიწყალ)ე

ჩრდილო კედელი

ჩრდილოეთის კედელი წარწერებით ნაკლებადაა დატვირთული. კედლის ცენტრალურ ნაწილში, ძირის ქვაზეჩანსორსტრიქონიანი წარწერის კვალი, გრაფემის მაქს. 1 სმ; მინ. 0,8. ქვა მთელ ფართობზე ატკეცილია და წარწერა მნიშვნელოვნადაა დაზიანებული.

ჩრდილოეთი კედლის გაუქმებული კარიბჭის თავზე ჩანს კარგი მხედრული კალიგრაფიით შესრულებული ,,**სოლომონ**“, მის დაბლა ჩანს გაწვდილი ხელის მტევანის გამოსახულება და მოზრდილი ,,**o**“, ხოლო მის დაბლა მარცხნივ - ,,**ქოქ**“. არ არის გამორიცხული, წარწერა გვიან იყოს შესრულებული.

წარწერები ღვთაების ტაძრის შიგნით, საკურთხევლის წინა სვეტებზე

წარწერებით განსაკუთრებით დატვირთულია ნიქოზის ღვთაების ტაძრის საკურთხევლის სვეტები და საკურთხევლის შიდა ნაწილი.

საკურთხევლის ჩრდილო (მარცხენა) სვეტზე 2 წარწერაა, ძირიდან 137 სმ. ერთი სვეტის დასავლეთით (წინა) მხარეს, გრაფემების მაქს. 2 სმ, მინ - 1,8 სმ. მეორე - სვეტის სამხრეთ მხარეს.

საკურთხევლის გარე საყრდენის მარცხენა (ჩრდილოეთის) სვეტის სამხრეთი მხრის კედელზე სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომელიც მთლიანად და გარკვევით იკითხება. პირველი სტრიქონის მეორე სიტყვაში ,,დონში“ ჩასმულია ,,ა“ გრაფემა, ხოლო წარწერა მთლიანობაში შემდეგ სახეს იღებს:

,,ქ. ნიქოზელსა დანიელს
დშ შ(ეუნდოს) ღ(მერთმა)ნ ამინ
ვ ქ ნე(ა)ნეა“

როგორც მივუთითებდით, ჯვარისმამა დანიელ ნიქოზელი მოღვაწეობდა XV საუკუნის პირველ ნახევარში და ცნობილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებიდანაც [მეტრეველი, 1962:177].

,,დანიელ ნიქოზელის“ წარწერა 2021 წლის ივლისში გამოაქვეყნეს თამაზ გოგოლაძემ და ირაკლი გელაშვილმა [გოგოლაძე, გელაშვილი, (№3), 2021:6-8].

თუმცა, გამორჩენილია წარწერის დაბლა მესამე სტრიქონში იმავე ხელით მიწერილი გაურკვეველი შინაარსის **„ვ ქ ნე(ა)ნეა“.**

,,დანიელ ნიქოზელის“ წარწერის დაბლა, მარჯვნივ ჩანს შედარებით მცირე ზომის რამდენიმე გრაფემა: **ელპვ**

ასევე სვეტის სამხრეთ მხარეს, ამოკვეთილია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

შ(ეიწყალ)ე ქ(რისტე) უთ...

.....რთ...

საკურთხევლის მარცხენა (ჩრდილო) სვეტზე, წინა (დასავლეთის) მხარეს ჩანს გადაშლილი წიგნის მსგავსი ფიგურა, რომლის ორივე მხარეს ასომთავრულიდან ნუსხურში გარდამავალი წარწერის კვალი იკითხება:

წუე რ..ს. ს(ა)ბ(ა)სა
თ ურ (შე)უნდ(ოს)
ნი.. ს ღ(მერთმა)ნ ა(მინ)

ამავე გრაფიკულ გამოსახულებაში ზემოთ ხსენებული წარწერის დაბლა ნუსხურით შესრულებული ერთსტრიქონიანი, შედარებით დიდი ზომის ასოებით შესრულებული წარწერის კვალი ჩანს:

ტ ...ი..ა ტიშ ...ის შდრლბს

კიდევ უფრო დაბლა:

მამაქემა

სვეტის დასავლეთ (წინა) მხარეს რამდენიმე მიმქრალებული ასომთავრული და ნუსხა-ხუცურით შესრულებული ნაკაწრი წარწერების კვალი ჩანს.

საკურთხევლის სამხრეთ(მარჯვენა) სვეტზე, კარნიზის სამხრეთ ნაწილში სამსტრიქონიანი ღრმად ნაკვეთი ასომთავრული წარწერაა.გარკვევით იკითხება პირველი და მესამე სტრიქონები. მეორე სტრიქონის წაკითხვა შეიძლება რამდენიმე სახით:

ქე ძო ღო
ღრ ლი დანე
შე
ანუ,
ქ(რისტ)ე ძ(ე)ო ღ(ვთისა)ო
უ(ღი)რ(სი) (მღვდე)ლი და(მია)ნე(?)
შ(ეიწყალ)ე

ასევე საკურთხევლის წინა მარჯვენა სვეტზე მთელ ფართობზე ატკეცილი ქვაა, მის ზედა მარჯვენა ნაწილში წარწერის კვალი ძალზე ბუნდოვნად ჩანს. პირველ სტრიქონში თითქოს იკვეთება „**მ**“, ხოლო მეორე სტრიქონში „**დ**“ გრაფემის კვალი.

წარწერები საკურთხევლის შიგნით
სადიაკვნოში

სადიაკვნის შიგნით მამაკაცის გამოსახულება და ბერძნული წარწერის კვალი ΟΝΣΤΑΝΤΗΝΟ (პირობითად), ბერძნული წარწერის ზემო ნაწილში, მიწიდან 0,90 სმ. გრაფემების სიგანე 0,5, სიმაღლე 2 სმ. ჩანს მხედრული ერთსტრიქონიან წარწერის კვალი: **„...მუ ...შლობა“,** ქვის ქვემო ნაწილში საკურთხევლიანი ჯვრის გამოსახულებაა.

სადიაკვნოს შესასვლელი მარჯვენა სვეტის სამხრეთ ნაწილში, თაღს ქვემოთ ძლიერ დაზიანებული და მთელ ფართობზე ატკეჩილი ასომთავრული და მხედრული

8 თუ 9 სტრიქონიანი არათანაბარი ზომის (1-4 სმ სიგრძე, 3 სმ. სიგანე) წარწერის კვალი ჩანს, შავი საღებავით შესრულებული შარავანდედიანი ადამიანის(მამაკაცის) გამოსახულების ფრაგმენტით. როგორც ზემოთ ითქვა, შესაძლოა ტექსტში მარინე მამქან ყოფილი იყოს მოხსენიებული:

„დ თე
კ...
ქკნა ...ც..ორი
ბის მისამე...
... მარინე
...შვლთა
მათთა შეუნ
დნეს ღმერთმა“.

საკურთხევლის შიგნით, მარჯვენა სვეტის დასავლეთ (წინა) ნაწილში ჩანს ასომთავრულ-ნუსხური წარწერის კვალი. ირკვევა „ნ“, „ხ“, „შ“, „დ“ გრაფემები. ქვა მთლიანად დაკბილული და ატკეჩილია საჭრეთლით თუ სხვა იარაღით და წარწერის მთლიანობაში წაკითხვა შეუძლებელია.



ასევე საკურთხევლის შიგნით, მარჯვენა სვეტის აღმოსვლეთ ნაწილში, იატაკიდან დაახლ. 1,35 სმ. სიმაღლეზე მოთავსებულ ქვაზე ჩანს ნუსხური წარწერების კვალი. ქვის ზემო ნაწილში ირკვევა ,,წ...ლ“, მის ქვემოთ ასომთავრული წარწერისა თუ გრაფემების სხვა წყობა მისდევს სამ სტრიქონად. თითოეულ სტრიქონში მეორდება ერთიდაიგივე გრაფემები მიჯრით. ქვის მარჯვენა ნაწილში გარკვევით ჩანს შედარებით დიდი ზომით შესრულებული **,,წ(მინ)და“**

ამავე ქვაზე ჩანს შავი საღებავით შესრულებული წარწერის, თუ ნახატის კვალი.

საკურთხევლის შიდა მარჯვენა თაღის ჩრდილოეთის (მარცხენა) კედელზე ნუსხური წარწერის კვალი ჩანს, რომლის გრაფემები ერთნაირი სიზუსტით მეორდება სიგრძეში. წარწერის მარჯვნივ წითელი საღებავით შესრულებული ჯვარი ჩანს:

ე ბ ბ ე ლ ე ....
ე ბ ბ ე ლ ე ....
ე ბ ბ ე ლ ე ....
ე ბ ბ ე ლ ე ....

ზემოხსენებული წარწერის მსგავსი წარწერა მეორდება საკურთხევლის შიდა მარცხენა სვეტის სამხრეთ კედელზე. წარწერის თავზე შავი ფერით ჩახატურლია გაურკვეველი ცხოველის გამოსახულება. ნახატის დაბლა კიდევ ერთი, 5 სტრიქონიანი დაუდგენელი შინაარსის წარწერაა, გრაფემების ნაწილი ქართულს არ ჰგავს.

ნუსხური ორსტრიქონიანი წარწერა საკურთხევლის შიდა მარცხენა სვეტის წინა მხარეს. გარკვევით იკითხება წარწერის დასკვნითი ნაწილი, გრაფემების სიგრძე 3 სმ. სიგანე 2 სმ.

ფრელთ ...ნ
ყე ....შ(ეიწყალ)ე
ღ(მერთმა)ნ

სამკვეთელოს თაღზე გრაფემების კვალი ჩანს, მაგრამ ხანძრისაგან გაშავებულია.

საკურთხევლის მარცხენა სვეტის აღმოსავლეთ ნაწილში ჩანს ერთმანეთში არეული, ძლიერ დაზიანებული და გაშავებული გრაფემების კვალი, იკვეთება **„ა“, „ძეს“, „ხ“** და ა. შ. მოხაზულობის მიხედვით სამსტრიქონიან წარწერას ჰგავს.

საკურთხევლის მარცხენა სვეტის აღმოსავლეთ მხარეს ჩანს ხუთსტრიქონიანი ასომთავრული

წარწერა, რომელიც, მთლიანობაში კარგად იკითხება, მაგრამ ავტორი ზოგიერთ გრაფემას წერს ორიგინალურად, რაც, სხვადასხვა საუკუნეების ქართული ლაპიდარული წარწერებისათვის დამახასიათებელი არ არის. ვერც ებრაულ, სომხურ და ბერძნულ დამწერლობაში ვხედავთ მსგავს გრაფემებს. მაგ. ,,ი“-ს წერს, როგორც
,,ლ“-ს - როგორც -
,,ვ“-ს, როგორც -
,,ჴ“-ს თუ ,,რ“, როგორც

აქედან საეჭვოა გრაფემა ,,ჴ“-ს თუ ,,რ“-ს მონახაზი. ხსენებული გრაფემა წარწერაში სამჯერაა გამოყენებული. ლოგიკურია,მასში ,,რ“ წავიკითხოთ, მაგრამ გრაფემას მარცხენა მხარეს თავი ბოლოში შეკრული აქვს, ხოლო მარჯვენა მხარეს პირიქით გახსნილი. ამ შემთხვევაში გვარს მივიღებთ ,,გორასძეს“, სახელს ,,ბერიკას“ ხოლო მისი ვაჟიშვილის სახელს -

,,აბულავრადს“. თუმცა, ზემოთ ნახსენებ ჯვარისმამა დანიელ ნიქოზელის ერთ-ერთ (94) იერუსალმიურ აღაპში დასახელებულია ,,გოხასძე ელემპია“, რომელიც, XV ს. 10-იანი წლებით თარიღდება[6].

წარწერის დანარჩენი ,,ორიგინალური“ გრაფემების წაკითხვა ადვილადაა შესაძლებელი და წარწერა შემდეგი შინაარსის იქნება:

გ(ო)ჴ(ა)სძეს ბეჴ
(ი)კასა შ(ეიწყალ)ე ღ(მერთმა)ნ
მ(ი)სა შვილსა
აბ(ო)ლვჴ[რ?](ა)დ(ი)სა
შ(ეიწყალ)ე ღმერთმან

წარწერის მარჯვნივ მთელ სიგრძეზე შავი საღებავით მიხატულია საერო პირი, რომელიც გამორიცხული არ არის წარწერაში მოხსენიებულიგოხასძე ბეხიკა იყოს, აღაპით ცნობილი ელემპიას ოჯახის წევრი, ან ახლო ნათესავი. თუ ასეა, გოხასძე ბეხიკას წარწერა XVსაუკუნეს არ უნდა გასცდეს.აღსანიშნავია, რომ წარწერას დაზიანება არ აქვს და მთლიანობაში იკითხება. სამაგიეროდ მის მარჯვნივ ნახატზე მთელი სახე დაზიანებული და ატკეჩილია საჭრეთელის თუ სხვა მსგავსი ბასრი საგნით.საკურთხევლის შიდა მარცხენა სვეტის კუთხის ქვაზე ჩანს რამდენიმე ნუსხა-ხუცური და ასომთავრული წარწერის კვალი. ერთი შავი საღებავითაა შესრულებული (სამ სტრიქონად), რომლის მეორე და მესამე სტრიქონები ნაკაწრ წარწერებზეა ზემოდან გადაწერილი.

[6]ელენე მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVI სს.), გვ. 77, 153.

შავი საღებავით შესრულებულ წარწერაში ირჩევა ზოგიერთი სიტყვა, მაგრამ მთლიანობაში წარწერა მიმქრალებულია და ვერ იკითხება:



შ(ეიწყალ)ე ნს...სკო
დ(ა)ნი(ე)ლი?
ა(მი)ნ

ქვის ზედა ნაწილში ორ თუ სამ სტრიქონად, ზემოდან ქვემოთ, ნაკაწრი ასომთავრული გრაფემების წყება მეორდება:

ლ ლ ლ ლ
პ პ პ პ
კ(ირილ)ე?

ქვის ქვემო, მარცხენა ნაპირში ნუსხა-ხუცურით შესრულებული ოთხსტრიქონიანი წარწერის კვალია:

დ...ლ
შ(ეიწყალე)ნ მი(სი)?

...ემ

ჲ ღ(მერთმა)ნ

სამკვეთლოში



სამკვეთლოს შესასვლელში სვეტის ჩრდილოეთით წრეების, ჯვრის და მზის გამოსახულებაა.

საკურთხევლის შიგნით კარნიზის თაღის ჩრდილოეთ მხარეს სვეტზე მიწიდან 0,7 იატაკიდან მესამე ლოდზე, თაღის დასავლეთ ბურჯზე.შავი საღებავით შესრულებული ნუსხური წარწერაა, 18 თუ 19 სტრიქონი, იკითხება წარწერის დასაწყისი პირველი-მესამესტრიქონები. წარწერის მარცხენა და ბოლო ნაწილები დაზიანებული და მიმქრალებულია და შინაარსი ბუნდოვანია, სავარაუდოდ, ღვთისმშობლისადმი სავედრებელი ლოცვაა:

„მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი ს ა
კ ა რ ი გ ა გ ....ე ...
კ ...თ ლ
ღ ...შ
რ .....
.....
მოწყალებისა
კარი გაგ[ვიღ]ე.
კ[ურთხეულ]ო
ღ[ვთისმ]შ[ობელო]
რ{ათა]....

მთავარანგელოზის ტაძრის წარწერები

ტაძრის დასავლეთ ფასადის [7] უკიდურეს მარცხენა მხარეს ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებაა. აქ ორიგინალური ის არის, რომ გველეშაპი წმ. გიორგის ფეხებთან კი არა მის ზურგსუკანაა.

დასავლეთის კარიბჭის თავზე,მიწიდან დაახლ. 2,5 მეტრის სიმაღლეზე გამოსახულია ასომთავრული წარწერა. გრაფემების მაქს. 7,5 სმ, მინ. 7 სმ.

<u>დაზიანებები:</u> 1) 1 სტრიქონის გრაფემების ზემო ნაწილი დაფარულია შელესილობით, რის გამოც პირველი ოთხი გრაფემის ზედა ნაწილები დაზიანებულია. 2) მეორე სტრიქონის ცენტრალურ ნაწილში გრაფემების ,,აღ“ და ,,ნეს“ შორის ქვა გათხელებულია და წარწერა ნაკლებად ჩანს თუმცა, სიტყვის სრულად წაკითხვას ხელს არ უშლის.

<u>გამოცემები:</u>ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, გვ.134; M. Brosset, VI.p. 54;Г. Садзагелов-Иверие ли, стр. 11; ნ. შოშიაშვილი, გვ. 187.

,,ქ. ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაით)ა მე მ(ი)ქ(აე)ლ
ნ(ი)ქ(ო)ზ(ელ) ებისკ(ოპო)ზმ(ა)ნ აღვ(ა)
შ(ე)ნე წ(მინდა)ი ეკლ(ე)ს(ია)ირ(ომე)ლ
არს სახლი ღ(მრთი)საი და ბჭეი ცათა
საყოფელი წ(მინდი)სა ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბელის(ა)ი და წ(მინდა)თა
მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ე)ლოზთ(ა)ი, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მისათ(ჯ)ს“.



[7] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მე-5 ტომში, ამ ადგილას ჩრდილოეთი ფასადია მითითებული, [**საქართველოს (V), 1990:68**]

კარიბჭის თავზე ზემოხსენებული წარწერის ზემოთ, თუნუქის მიჭედებული ფილის ქვეშ ჩანს ასომთავრული წარწერის კვალი, რამდენიმე გრაფემით: ,,**ისი**“.

გუმბათის დასავლეთ ნაწილში სარკმლის ,,წარბზე“ ნახევარწრიული ასომთავრული წარწერა:

ქ˜ე შ˜ე იოვნე

დსწლი მ˜ლ ეპკსი



ქრისტე შეიწყალე იოვანე

დისწული მიქელ ეპისკოპოსისაი

<u>გამოცემები:</u>ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, გვ.134; M. Brosset, VI.p. 54; Г. Садзагелов-Ивериели, стр. 10; ნ. შოშიაშვილი, გვ. 186.

ტაძრის გუმბათის სამხრეთ მხარეს, სარკმლის თავზე ,,წარბის“ ქვემოთ 5 სტრიქონიანი დახვეწილი ასომთავრული წარწერაა, პირველ სტრიქონის მარჯვენა ნაწილში ,,დონში“ ,,ანია“ ჩასმული, რაც ქართული ასომთავრული წარწერებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ ქვის ცენტრალურ ნაწილში, როგორც ჩანს წყალია ნადენი და ქვა ატკეცილია. წარწერის დანარჩენი ნაწილები კარგად იკითხება (წარწერა შეუსწავლელია):

ქ(რისტ)

შ(ეიწყალ)ე.....დაანკ

ჯ .....შე

ნ .....ე

შვ(ი)ლ(ნი) .....დზ

ნი მ(ი)ს(ნი) .....ა(მინ)ნ

აღმოსავლეთის მკლავის კარიბჭის მარჯვენა მხარეს ორსტრიქონიანი წარწერა: ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ო..რა?

ქვემო ნიქოზის მცირე (წმინდა გიორგის) ეკლესია

ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე, ცენტრალურ ნაწილში, წითელ ქვაზე, ღრმად ნაკვეთი ორსტრიქონიანი წარწერაა (წარწერა შეუსწავლელია):

ქ ბკრ ქე შე

კი

(ქ(რისტე) ბ(ა)კ(უ)რ ქე(?) შ(ეიწყალ)ე)

კ(ათალიკოს)ი?

არ გამოვრიცხავთ, რომ დაქარაგმებული ,,ქე“ გვარი იყოს.

ტაძრის სამხრეთი სარკმლის წარბზე, მარცხენა მხარეს ჩანს გრაფემების: ,,მ“ და,,ე“?-ს და მცირე მოცულობის ჯვრის კვალი.

ზემო და ქვემო ნიქოზის ეპიტაფიები

ეპიტაფიები ღვთაების ტაძრის ეზოში

საფლავის ეპიტაფია ტაძრის აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილში მთავარი შესასვლელის მარჯვნივ:

,,განისვენებს მღვდლის ამაღლების სობოროს ილარიონ ეფრემის ძე კასრაძე
დაიბადა მაისს 1847 წ.
გარდაიცვალა 5 თებერვალს 1901 წ.

ჩრდილოეთი კედლის ძირში ორი საფლავი გვერდიგვერდ, სავარაუდოდ, მეუღლეები არიან:

,,ამა საფლავსა შინა მდებარე გვამი დავით ლომსაძისა სიყრმიდან ვიყავ მორჩილი წმინდისა ღვთაებისა და გარდავიცვალე უშვილოთ ნსა (=50) წლისა წამკითხველნო გევედრები შენდობისათვის ჩყ (=1860 წ.)

,,ამა საფლავსა მდებარე ვარ დავით ლომსაძის მეუღლე ბარბარე, ვიყავ უშვილო დავტოვე სამი მაზლისწული, ღმერთო კარგად შემინდე, აღვსრულდი ჩყობ (=1872 წ.) წელს აგვისტოს იბ (=12) დღესა“

ეპისკოპოსის სასახლის დასავლეთ კედელთან ორი საფლავი-ქვაჯვარი: წარწერის სიგანე 0,32, სიგრძე 0,22

ეპიტაფიები ტაძრის შიგნით

ტაძრის გამოსასვლელთან სამხრეთის კედლის ძირში ოთხივე კუთხეს ორნამენტიანი საფლავის ქვა, სიგრძით დაახლ 1,20, სიგანით 0,70 ,5 თუ 6 სტრიქონიანი მხედრული წარწერით, (ირჩევა წარწერის ფრაგმენტები: ,,ყოველი მსოფლიო (?)... ქართლის დედოფალმან...“

ნინო ელიზბარ შერვაშიძის საფლავი საკურთხევლის წინ, დასავლეთით დაახლ. 1 მეტრის მოშორებით.

,,მომიხსენიე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევისა შენისა
ამა ლოდსა ქვესე მდებარე მხევალი შენი
კნეინა თ. ზაქარია ბესარიონის ძე
ფავლენიშვილისა ნინო
ასული თ ელიზბარ შერვაშიძისა
დაიბადა 1849 წ.
გარდაიცვალა 1916 წ (7 მარტს).

ჩრდილო კედლის ძირში სოლომონ იასეს ძე ფავლენოვი.

ი. მეგრელიძის წაკითხვით:

,,ქვეშე მდებარებს გვამი თავადის
სოლომონ (იასეს ძის ფავლენოვის (.)
შენდობა მიბრძანეთ (.)გარდავიცვალე
იე რიცხვსა ჩყო“
(=15 (თვე?) 1880)[8] [მეგრელიძე, 1984:151].

ტაძრის ცენტრ. ნაწილში სამი საფლავია: 1) კნეინა ელენე ქაიხოსროს ას. ფავლენიშვილის (1809-1898):

,,,მომიხსენიე მე უფალო
ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა
მე მხევალი შენი

[8] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, გვ.151.

კნეინა
ელენე ქაიხოსროს ასული ფავლენიშვილისა
1809 წ. – 1899 წ. იანვრის 25სა“.

ზემოხსენებული საფლავის ჩრდილოეთით - საფლავის ეპიტაფიის ქართული ნაწილი დაზიანებულია, თუმცა, რუსულ ტექსტთან შეჯერებით სრული შინაარსი დგინდება

ძეგლსა ამისა ქუეშე განის(ვენებს)
გუამი თა(ვად) სვიმონ სოლომონის ძე .....
..... მარიამ ფავლენოვისა, ასულისა
მაჩაბლისა ოცდაცხრის წლის
ჩყპე-ს კათათვის ბ დღესა
Здесь покоится прах супруга князя
Семена Соломоновича Павленова Мария
урождения кн.Михайла Мачабели
сконч. 2-го юлия 1885 г. на 29 гю годую

ანუ, საფლავი ეკუთვნის სიმონ სოლომონის ძე ფავლენიშვილის მეუღლეს მარიამს, რომელიც, თავის მხრივ მიხეილ მაჩაბლის ასული ყოფილა. იგი 1885 წლის 2 ივნისს, 29 წლის ასაკში გარდაცვლილა.

აქვეა მარიამ მაჩაბლის ასულის საფლავი, რომელიც ასევე ადრეულ ასაკში, 1831 წლის 15 ივლისს გარდაცვლილა. ეპიტაფია ასე იკითხება:

„საფლავსა ამას მდებარე
ვარ მაჩაბლისა ასული
სახელწოდებით მარიამ
მსწრაფლ ამა სოფლით გასული
აღმფხვდა საწუთრომ უძეოთ
არ მყვა ძე არცა ასული
და გთხოვთ წამკითხველთა მე
მიბრძანოთ შენდობა ჟესთა ასული
ჩყ-ზ-იე-ლა (ე. ი. 1831 წლის 15 ივლისს).

აღნიშნული წარწერის დასავლეთით კაპიტანი გიორგი ფავლენოვია(ფავლენიშვილი)(1844-1883)დაკრძალული.

Капитань Князь Георгий Соломонович
Павленов, родился 1-го августа 1844 го года,
скончался 12-го февраля 1883-го года“.

ნიქოზის ღვთაების სახელობის ტაძარში შემორჩენილია ზემოხსენებული სიმონ და გიორგის მამის - სოლომონ იასეს ძე ფავლენიშვილის საფლავი, იგი 1860 წელს გარდაცვლილა:

„ამა ძეგლსა ქვესე მდებარეობს გვამი თავადის
სოლომონ იასეს ძე ფავლენოვისა
შენდობა მიბრძანეთ, გარდაცვალე
ბულსა ნოემბრის იე რიცხვსა ჩყჲ“

საფლავები მთავარანგელოზის ტაძრის ეზოში

1.ტაძრის დასავლეთ კედელთან კარიბჭის მარჯვნივ საფლავია, რომლის ეპიტაფიაშიც ვკითხულობთ:

,,საფლავსა ამას მდებარე მეუღლე აღმდგენელის იმ 1500 წ. და ამ ეკლესიის მღვ. იოა (იოანე) დავიდოვის ეფეიოს ას. ხოლერით ტანჯვით უძეოთ გარდავ. 1892 წ. შობ (შობითგან) 31 წ.“

ე. ი. ფოფოდია ყოფილა მღვდელ იოანე დავიდოვის მეუღლე, რომელიც ღვთაების ტაძრის ჩრდილო კედელზე ტაძრის აღმდგენელთა შორის იხსენიება. ქალბატონი გარდაცვლილა ქოლერის ეპიდემიით 31 წლის ასაკში. ცნობილია, რომ გორის მაზრაში 1892 წელს მართლაც მძვინვარებდა ქოლერის ეპიდემია და მომაკვდინებელმა სენმა უამრავი მაცხოვრებელი შეიწირა.

2. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლ. 10 მ. საფლავზე აღმართული ქვა-ჯვარია, ცენტრში ორი ადამიანის გამოსახულებით.

ქვა-ჯვარზე შემორჩენილი ეპიტაფია ძლიერ არის დაზიანაბული, თუმცა, ერთი ნაწილი მაინც იკითხება. ჩრდ. მხარეს: ,,მომიხსენიე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა ვარ მე კეკე .....

დასავ. მხრიდან: ,,მომიხსენიე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა ანდრია გიორგის ძე კორაშვილი...

3. საფლავი ტაძრის სამხრეთით, დაახლ. 8 მ-ის დაშორებით. საფლავის ქვის სამხრეთ მხარეს ამოკვეთილია ჯვარი. ეპიტაფია: ,,მომიხსენიე უფალო ამა საფლავსა ქვეშე მდებარე ვარ დედა თამარ ..სვე ..ძიაშვილი სამარის ვარ მხილველნო გევედრებით შენდობა მაღირსეთ წლსა ვბ (=32), ჩყნგ (=1853 წ.)

4. საფლავი ტაძრის სამხრეთით, დაახლ. 7 მ-ის მანძილზე. ეპიტაფია: ,,მომიხსენიე უფალო მე საუფლოსა მდებარე ივანე ტურაშვილის მეუღლე ქეთევანი გიორგის, აღმკითხველნო გთხოვთ შენდობას, ჩყიბ (=1862 წ.)

5. საფლავი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 10 მ-ის დაშორებით.

ეპიტაფიის აღმოსავლ. მხარის წარწერა: ,,ეცადნენ ვეღარ მიშველეს ჩემზედ აიღეს ხელია, ვარ თამარ წყალობას მჭედლიძის მეუღლე და ასული მამაგ (წარწერა გრძელდება დასავლეთის მხარეს) ულაშვილის აღვესრულე ჩყპვ (=1886 წ.) წელსა მკათათვის ... დღესა მკითხველნო შენდობა მიბრძანეთ“

6. საფლავი ტაძრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 11 მეტრში.

ეპიტაფიის აღმ. მხარე: ,,დედმამა დგინ... გულია, ეცადნენ ვეღარ მიშველეს ჩემზე აიღეს ხელია, ჩამიტანეს შავ მიწაში სამარის საშინელია, დამრჩა ყმაწვილი ქმარი და დედმამა, რძალო ტირილიც ძნელია, დავრჩი ამასა ...

დასავლ. მხარე ძლიერ დაზიანებულია: ,,ამა დღესა საფლავის ...

ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის ეზოში სხვა საფლავებიც არის შემორჩენილი, რომლებზეც წარწერებია დატანილი. ეპიტაფიები ძირითადად მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ან მეოცე საუკუნის დასაწყისშია შესრულებული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ალიმბარაშვილი, ი. (2021). *შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის პირველი რუსული კამერალური აღწერების მიხედვით.* გორი: გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გოგოლაძე, თ., გელაშვილი, ი. (2021). დღემდე უცნობი წარწერა ნიქოზში". ჟურნალი *,,ისტორიანი".* #3(120).

დოლიძე, ი. (1974). *ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V.* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ.

დოლიძე, ი. (1981). *ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII.* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთოისიდორე დოლიძემ. თბ.

დოლიძე, ი. (1984). *ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII.* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ.

თაბუაშვილი, თ. (2013). *ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი).* თბ.

კაკაბაძე, ს. (1913). *თმოგველთა გვარის ისტორიისათვის.* ტფ.

კაკაბაძე, ს. (1925). საფასეს ისტორიისათვის საქართველოში. *,,საისტორიო მოამბე",* I. ტფ.

კაკაბაძე, ს. (1913). *ისტორიული საბუთები.* სარგის კაკაბაძის გამოცემა. წიგნი IV. ტფ.

ლორთქიფანიძე, ი. (1947). საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ.XIV_B.* თბ.

მამისთვალიშვილი, ე. (2010). *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIIსს.).* თბ.

მეგრელიძე, ი. (1984). *სიძველეები ლიახვის ხეობაში.* თბ.

მეტრეველი, ე. (1962). *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან.* თბ.

ჟორდანია, თ. (2004). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა.* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და ახლად გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. I. თბ.

საქართველოს... (1990). *საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.* ტ. 5. თბ.

სოსიაშვილი, გ. (2008). *საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან.* თბ.

სოსიაშვილი, გ. (2010-2013). ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთა. *კრებული ზურაბ პაპასქირი-60. ,,ეამთააღმწელობა ჭეშმარიტების მეტყველება არს".* თბ.

სოსიაშვილი, გ. (2018). ფავლენიშვილების ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. *შრომები, XIII.* თბ.

სურგულაძე, მ., აბაშიძე, თ. (2016). *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი.* ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძე. ტ. IV. თბ.

შოშიაშვილი, ნ. (1980). *ქართული წარწერების კორპუსი.* ლაპიდარული წარწერები, I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XIსს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ.

ხუციშვილი, ნ. (2006). *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში.* თბ.

ჯიქია, ს., შენგელია, ნ. (2009). *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი.* წიგნი I. ოსმალური ტესტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილიებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ.

Меписашвили, Р., Цинцадзе, В. (1975). *Аркитектура нагорной части исторической провинции Грузии (Шида Картли).* Тб.

Садзагелов-Ивериели, Г. (1896). *Описание Никозской Михайло-Архангельской церкви вь карталинии. Прибавление духовному вестнику грузинского эгзархата.* 15 октября 1896 г. №20.

Свод, (1893). *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных осписков 1886 г.* Тифлисская губерния, Гориский уезд. Тифлись.

Уварова (III), 1904 - *Кавказь, Рача, Горийский уездь, Горы Осетий, Пшавия, Хевсуретия и Сванетия.* Путевыя замытки Графинии Уваровой, часть III. Москва.

Brossetб M. (1851). *Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848.* SPB. VI.

References

alimbarashvili, i. (2021). *shida kartlis (goris mazris) mosakhleoba XIX sauk'unis p'irveli otsts'leulis p'irveli rusuli k'ameraluri aghts'erebis mikhedvit.* [*Population of Shida Kartli (Gori region) according to the first Russian camera descriptions of the first twenty years of the XIX century*]. Gori: Gori University Publishing House.

gogoladze, t., gelashvili, i. (2021). dghemde utsnobi ts'arts'era nikozshi". *zhurnali „ist'oriani".* [A hitherto unknown inscription in Nikozi]. *" Journal "Historiany". # 3 (120*).

dolidze, i. (1974). *kartuli samartlis dzeglebi. t'. V.* t'ekst'ebi gamostsa, shenishvnebi da sadzieblebi daurto isidore dolidzem. [*Monuments of Georgian law. T. V.*] Isidore Dolidze published texts, notes and searches. Tb.

dolidze, i. (1981). *kartuli samartlis dzeglebi. t'. VII.* t'ekst'ebi gamostsa, shenishvnebi da sadzieblebi daurtoisidore dolidzem. [*Monuments of Georgian law. T. VII].* Texts were published, notes and searches were added by Isidore Dolidze. Tb.

dolidze, i. (1984). *kartuli samartlis dzeglebi. t'. VIII.* t'ekst'ebi gamostsa, shenishvnebi da sadzieblebi daurto isidore dolidzem. *[Monuments of Georgian law. T. VII.]*Texts were published, notes and searches were added by Isidore Dolidze. Tb.

tabuashvili, t. (2013). *kalak tskhinvalisa da misi mimdebare soplebis aghts'eris davtrebi (XVIII sauk'unis II nakhevari). [Census books of the city of Tskhinvali and its surrounding villages (second half of the XVIII century)].* Tb.

k'ak'abadze, s. (1913). *tmogvelta gvaris ist'oriisatvis. [For the history of the genus Tmogveli].* Tf.

k'ak'abadze, s. (1925). sapases ist'oriisatvis sakartveloshi. *„saist'orio moambe". I.* [Price for the history of Georgia. *"Historical News". I.*]. Tf.

k'ak'abadze, s. (1913). *ist'oriuli sabutebi. sargis k'ak'abadzis gamotsema. ts'igni IV. [Historical documents. Published by Sargis Kakabadze. Book IV].* Tf.

lortkipanidze, i. (1947). sabutebi erek'le mepis morige jaris shesakheb. *sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe. t'.XIV_B. [*Documents about King Erekle's army on duty. *Moambe of the Georgian State Museum. T. XIV_B*].Tb.

mamistvalishvili, e. (2010*). sakartvelo-ierusalimis urtiertobis ist'oriidan (XVI-XVIIss.). [From the history of Georgian-Jerusalem relations (XVI-XVII centuries)].* Tb.

megrelidze, i. (1984). *sidzveleebi liakhvis kheobashi. [Antiquities in Liakhvi gorge].* Tb.

met'reveli, e. (1962). masalebi ierusalimis kartuli k'oloniiis ist'oriidan. [*Materials from the history of the Georgian colony in Jerusalem]. Tb.*

zhordania, t. (2004). *kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa.* shek'rebili, kronologiurad dats'qobili, akhsnili da akhlad gamotsemuli t. zhordanias mier, t'. I. [*Chronicles and other material on the history of Georgia.* Assembled, chronologically arranged, explained and newly published t. By Jordania, t. I]. Tb.

sakartvelos... (1990). *sakartvelos ist'oriis da k'ult'uris dzeglta aghts'eriloba. [Description of historical and cultural monuments of Georgia*]. T. 5. Tb.

sosiashvili, g. (2008). *sakartvelos ts'archinebul gvarta ist'oriidan. [From the history of excellent families of Georgia].* Tb.

sosiashvili, g. (2010-2013). nikozis ep'arkiis urtiertoba ierusalimis jvris monast'erta. *k'rebuli zurab p'ap'askiri-60. .zhamtaaghmts'eloba ch'eshmarit'ebis met'qveleba ars".* [Relations of the Diocese of Nicosia with the Monasteries of the Cross in Jerusalem. *Collection Zurab Papaskiri-60. "Chronology is the word of truth."]* Tb.

sosiashvili, g. (2018). pavlenishvilebis urtiertoba ierusalimis jvris monast'ertan ivane javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is humanit'arul metsnierebata pak'ult'et'i, *sakartvelos ist'oriis inst'it'ut'i. shromebi, XIII.* [The relationship of the Pavlenishvilis with the Jvari Monastery in Jerusalem Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, *Georgian Institute of History. Works, XIII].* Tb.

surguladze, m., abashidze, t. (2016). *kartuli ist'oriuli sabutebis k'orp'usi.* t'omi sheadgina da kartuli t'ekst'ebi gamosatseemad moamzada m. surguladzem, sp'arsuli t'ekst'ebi moamzada tamaz abashidze. [*Corpus of Georgian historical documents].* Compiled the volume and prepared Georgian texts for publication by M. Surguladze prepared Persian texts for Tamaz Abashidze. T. IV. Tb.

shoshiashvili, n. (1980). *kartuli ts'arts'erebis k'orp'usi.* lap'idaruli ts'arts'erebi, I. aghmosavlet da samkhret sakartvelo (V-XIss). sheadgina da gamosatsemad moamzada n. Shoshiashvilma [*Corpus of Georgian inscriptions*]. Lapidary inscriptions, I. Eastern and Southern Georgia (V-XI centuries). Compiled and prepared for publication by N. Shoshiashvili. Tb.

khutsishvili, n. (2006). *ierusalimis jvris monast'ris mits'atmplobeloba sakartveloshi. [Land ownership of the Monastery of the Cross in Jerusalem in Georgia].* Tb.

jikia, s., shengelia, n. (2009). *1728 ts'lis tbilisis vilaietis didi davtari*. ts'igni I. osmaluri t'est'i kartuli targmanit, shesavlit, gamok'vlevita da paksimiliebit gamosatsemad moamzades ak'ad. sergi jikiam da p'rop. nodar shengeliam. [*The Great Book of 1728 Tbilisi Vilayet].* Book I. The Ottoman Test was prepared for publication with Georgian translation, introduction, research and facsimiles by Acad. Sergi Jikia and Prof. Nodar Shengelia. Tb.

Mepisashvili, R., Cincadze, V. (1975). *Arkitektura nagornoj chasti istoricheskoj provincii Gruzii (Шида* Картли). *[The architecture of the mountainous part of the historical province of Georgia (Shida Kartli)].* TB.

Sadzagelov-Iverieli, G. (1896). *Opisanie Nikozskoj Mihajlo-Arhangel'skoj cerkvi v' kartalinii. Pribavlenie duhovnomu vestniku gruzinskogo jegzarhata. 15 oktjabrja 1896 g. #20. [Description of the Nikozskaya Archangel Michael Church in Kartalinia. Adding the Georgian exarchate to the spiritual messenger. October 15, 1896 # 20].*

Svod, (1893). S*vod statisticheskih dannyh o naselenii Zakavkazskogo kraja izvlechjonnyh iz posemejnyh ospiskov 1886 g. Tiflisskaja gubernija, Goriskij uezd. [A set of statistical data on the population of the Transcaucasian Territory extracted from the family lists of 1886 Tiflis province, Gori district].* Tiflis.

Uvarova, (1904). Kavkaz', Racha, Gorijskij uezd', Gory Osetij, Pshavija, Hevsuretija i Svanetija. *Putevyja zamytki Grafinii Uvarovoj, chast' III.* [Caucasus, Racha, Gori district, Ossetia Mountains, Pshavia, Khevsureti and Svaneti. *Traveling locks of Countess Uvarova, part III].* Moscow.

Brosset, M. (1851). *Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie*, exsecute en 1847-1848. SPB. VI.[*Reports of an archaeological trip to Georgia and Armenia*, carried out in 1847-1848. SPB. VI.].